

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი



მიხეილ ლელაძე

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

**ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის სტრატეგიული განვითარების
ინსტრუმენტი**

(შპს „ლიდერფუდის“ მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ჯიქია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2020

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი მოიცავს შესავალს, ორ თავს, ხუთ ქვეთავს, დასკვნით ნაწილს, გამოყენებული ლიტერატურის სიას და დანართებს. მისი მოცულობა 63 გვერდია.

ნაშრომის შესავლის ნაწილში განხილულია ზოგადად მოცემული თემის აქტუალურობის საკითხი, ასევე კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მიზნები, მეთოდიკა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წარდგენა და ანალიზი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია და დიდ როლს თამაშობს კომპანიის შიდა და გარე მომხმარებლების მიერ კომპანიასთან დაკავშირებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას.

ნაშრომში კვლევა ჩატარებულია ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანიის შპს „ლიდერფუდის“ მაგალითზე.

კვლევის პირველ ნაწილში განხილულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზური მნიშვნელობის საკითხები, უფრო კონკრეტულად, საწარმოს ფინანსური ანალიზი და მიზნები, ამოცანები და მეთოდიკა. ნათლად გადმოცემულია მნიშვნელოვნობა და არსი კომპანიის ფინანსური ანგარიშგების, ასევე მისი ხარისხობრივი და ანალიზური მახასიათებლები.

მეორე ნაწილში ჩატარებულია შპს „ლიდერფუდის“ ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საკითხების ანალიზი, რის საფუძველზეც შეფასებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნები საწარმოს ლიკვიდურობის შესახებ, ასევე სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტების დახმარებით, ვაფასებთ მის გადახდისუნარიანობასა და რენტაბელობას.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული მაქვს ნაშრომში განხილული საკითხები, რაც დამატებით შესაძლებლობას გვაძლევს ერთიანი სურათით უფრო ლაკონურად და მოკლედ კიდევ ერთხელ დავინახოთ და შევაფასოთ კომპანიის მდგომარეობა, რაც მის გადახდისუნარიანობას, სტაბილურობას და სამომავლო პერსპექტივებს გულისხმობს.

ლიტერატურა შედგება 26 წყაროსგან, რომლებიდანაც სხვადასხვა რაოდენობით მაქვს ინფორმაცია გამოყენებული ნაშრომის დასაწერად.

კვლევა მოიცავს, ასევე ცხრილებს, საიდანაც უფრო კოპლექსურად და ერთიანი სურათის სახით ჩანს მონაცემები შპს ლიდერფუდის ფულადი ნაკადების, ბალანსის და მოგება/ზარალის შესახებ.

Annotation

This paper includes an introduction, two chapters, five sub-chapters, a concluding section, a list of used literature, and appendices. Its volume is 63 pages.

The introductory part of the paper discusses the topicality of the given topic in general, as well as the subject and object of the research, the objectives of the research, the methodology. Preparing, submitting and analyzing a company's financial statements contains important information and plays a major role in the company's internal and external customer engagement when making economic decisions related to the company. The purpose is to demonstrate the analytical values of the financial statements when conducting the analysis. The paper is based on the example of Leaderfood Ltd., one of the largest meat producers in the Caucasus.

The first part of the study discusses the issues of analytical importance of financial reporting of a company, more specifically, the financial analysis of the enterprise and its goals, objectives and methodology. The importance and essence of the company's financial statements, as well as the qualitative and analytical characteristics are clearly stated.

The second part analyzes the main financial reporting of Leaderfood Ltd., on the basis of which the financial condition of the enterprise is assessed on the basis of vertical and horizontal analysis of the balance sheet.

In the final part, I have summarized the issues discussed in the paper, which gives us an additional opportunity to see and assess the state of the company once more succinctly and concisely with a unified picture, which implies its solvency, stability and future prospects.

The literature consists of 26 sources, of which I have various amounts of information to write the paper used.

The survey also includes tables that show more complex and unified picture of Liderfood's cash flows, balance sheet, and profit / loss.

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 6 |
| I თავი- ფინანსური ანალიზის გამოყენება მართვის სტრატეგიული და ოპერატიული მიზნებისათვის..... | 8 |
| 1. ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია | 8 |
| 2. მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის ანალიზი... | 21 |
| 3. მიმდინარე აქტივების ბრუნვალობის ანალიზი | 42 |
| II თავი- კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი..... | 47 |
| 1. შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი..... | 47 |
| 2. საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი..... | 54 |
| დასკვნა | 59 |
| გამოყენებული ლიტერატურა: | 61 |

შესავალი

კომპანიის მუდმივი განვითარებისა და მისი სტაბილულობის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი. ფინანსური ანალიზი ფირმის ეკონომიკური ანალიზის ნაწილია, ეს უკანასკნელი უფრო ფართო და მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, კერძოდ ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე ხდება ფირმაში იმ საწარმოო რეზერვების გამოვლენა, რომელიც შეამცირებს დანახარჯებს და გაზრდის მოგებას. ფინანსური ანალიზი კი ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე კეთდება და საბოლოო ჯამში მის მიზანს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და პროგნოზი წარმოადგენს. ფინანსური ანალიზი განიხილება ე.წ. ფინანსური სტრატეგიის ინსტრუმენტად, იქედან გამომდინარე, რომ მას დიდი როლი უჭირავს ფინანსური რისკების შეფასების, ბიზნეს აქტივობის, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებადი საწარმოს ძირითადი საკითხს წარმოადგენს რაც შეიძლება ადვილად დაფაროს მისი ვალდებულებები მის მიერ რეალიზებადი სახსრებით და ეს პროცესი იყოს მომგებიანი არა მარტო მიმდინარე პერიოდში არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშიც.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ნათლად დაგვანახოს თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი კომპანიის განვითარებაში და როგორ გამოიყენება ის ფირმის მუდმივი ზრდის უზრუნველსაყოფად. აქ მოცემული ძირითადი საკითხებია:

- ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და სტრატეგია.
- ლიკვიდურობის და მიმდინარეა გადახდისუნარიანობის ანალიზი.
- შემოსავლების და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი.
- მოკლევადიანი აქტივების ბრუნვალობის ანალიზი
- საინვეტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი

კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ფინანსური ანალიზის საკითხების თეორიული განხილვა და მისი პრაქტიკული გამოყენება შპს ლიდერფუდის მაგალითზე. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე,

როგორცაა გადახდის უნარიანობა და ლიკვიდურობა. პარალელურ რეჟიმში აღწერილი მათი ანალიზის საფეხურები. საბრუნავი კაპიტალის სიდიდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ნათლად გვაჩვენებს თუ როგორ მოქმედებს ფირმის აქტიურობაზე ბრუნვადობის მაჩვენებლები: ფულის ბრუნვის მაჩვენებლები, კერძო და საერთო ავანსირებული ბრუნვადობის მაჩვენებლები, ამას გარდა მათი შესწავლა საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მეორე ნაწილში უკვე განხილულია კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი, მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ შევხები შემდეგ საკითხებს: შემოსავლების და ხარჯების ბიუჯეტი, საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი. თითოეული საკითხი უაღესად მნიშვნელოვანია კომპანიის მზარდი და გრძელვადიანი განვითარების შენარჩუნებისთვის. შემოსავლების და ხარჯების ბიუჯეტი განსაზღვრავს კომპანიის სავარაუდო მოგებას და ის არსებითად მნიშვნელოვანია საქმიანობის საწყის ეტაპზე, ზოგადად არის თუ არა ღირებული კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა განისაზღვრება ერთი მხრივ იმით, მოუტანს თუარა ის მოგებას კომპანიას. ასევე ყურადსაღებია კომპანიის ინვესტიციების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რამეთუ კომპანიის სამომავლო შედეგი დღეს განხორციელებულ ინვეტიციებზეა დიდად დამოკიდებული.

I თავი - ფინანსური ანალიზის გამოყენება მართვის სტრატეგიული და ოპერატიული მიზნებისათვის

1. ფინანსური ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდика

ანალიზი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და დაშლა-დანაწევრებას ნიშნავს. იგი მუდმივად გამოიყენება მრავალ დარგში და სხვადასხვა ხასიათისაა. ძირითადად გამოყოფენ ორი სახის ანალიზს, მიკროეკონომიკურს და მაკროეკონომიკურს. მაკროეკონომიკური ანალიზი უფრო ფართო მასშტაბისაა და ეკონომიკას შეისწავლის ქვეყნისა და მსოფლიო დონეზე. ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ინფლაცია, უმუშევრობა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი და ა.შ. მიკროეკონომიკური ანალიზი კი მოიცავს ფირმებისა და საწარმოების დონეზე ანალიზს, როგორც ცალკე აღებულს ისე მათ გაერთიანებებს.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიზანია საწარმოში გამოავლინოს ფარული რეზერვები, რომლებსაც გამოიყენებს დანახარჯების შემცირების და საერთო ჯამში მოგების გასაზრდელად. ეკონომიკური ანალიზი ძირითადად სამი მიმართულებით ტარდება ესენია: ფუნქციონალური-ღირებულებითი, ტექნიკური-ეკონომიკური, ფინანსური -ეკონომიკური.

ფინანსური - ეკონომიკური ანალიზის მიზანია საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის შესწავლა და შეფასება - ფინანსური სტაბილურობის მომგებიანობის და მოგების კუთხით.

ტექნიკური - ეკონომიკური ანალიზის მიზანია კომპანიის ხელთ არსებული საშუალებების: ნედლეულის, ტექნიკის, პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების შესწავლა.

ფუნქციონალურ - ღირებულებითი ანალიზის მიზანია განიხილოს სხვა ალტერნატიული შესაძლებლობების მქონე პროექტები გადაწყვეტილებების და დაგეგმარების წინ.

თითოეული მათგანი შესაძლებელია ცალ-ცალკე დამოუკიდებლად იქნან განხილული. ამასთან ფინანსური ანალიზიც ეკონომიკური ანალიზის ნაწილია,

მაგრამ შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად განხილვა. იგი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და პროგნოზებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მეოცე საუკუნემდე ფინანსური ანალიზის სისტემური მეთოდის არ არსებობდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალი აღივანების მეთოდი წარმოიშვა - ბალანსმცოდნეობა. რომელიც ძირითადად სამი მიმართულებით გაძლიერდა: ბალანსის იურიდიული ანალიზი (რ. ბაიგელი, ე.რამერლი, კ.პორციკი), ეკონომიკური ანალიზი (ი. შერი, პ. გერსტენერი, ფ.ლაიტნერი და სხვა) და ცოდნის პოპულაცია ბალანსის შესახებ (გუბერომი, შენვადტომი და სხვები).

ფინანსური ანალიზის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფულად ფორმაში, განზოგადებულად წარმოადგინოს საწარმოს ფინანსური შედეგები. უმაღლესი მენეჯერების ინტერესს წარმოადგენს საწარმოს მიერ ფლობილი საწარმოო რესურსები ეს იქნება ნედლეული, დანადგარები, ტექნოლოგია თუ სხვა, როგორც პროდუქტულობით იქნა გამოყენებული და მივიღეთ თუ არა მისგან სარგებლის მაქსიმუმი რაც შეიძლება მიეღო საწარმოს. საწარმოს მიერ ჩადებული ფულში, რომელიც ნაწილდება დანადგარებში, მასალებში და სხვა საწარმოო რესურსში ის არის საერთო, რომ ყველა მათგანი უკვე გაღებულ ავანსირებულ ფულს წარმოადგენს და ხელმძღვანელობამ უნდა აკონტროლოს მათი ეფექტიანი ხარჯვა და მისგან მიღებული სარგებელი. ამასთან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უკვე ჩადებული ფულადი სახსრების მიღების წყაროების კონტროლი იქედან გამომდინარე, რომ ფულადი სახსრები შესაძლებელია აკუმულირდეს ვალდებულებების ან საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

ფინანსური რესურსები საბოლოო ჯამში წარმოადგენს საწარმოს საოპერაცია საქმიანობის განსახორციელებელ მთავარ საშუალებას და ამასთან მის მთავარ მიზანს! ბუღალტრული აღრიცხვის საეთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ფინანსური რესურსები ფინანსური ინსტრუმენტებია. ეს შეიძლება იყოს მაგლითად ხელშეკრულება, რომელიც ერთი მხრივ ერთი საწარმოს აქტივს მეორე მხრივ კი მეორე საწარმოს ვალდებულებას წარმოადგენდეს. ფინანსური ინსტრუმენტების ნაწილია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები: ფასიანი ქაღალდები, ფორვარდული კონტრაქტები, ოფციონები, ფიუჩერები, აქციები სპოტები და სვოპები.

საწარმოში შეიძლება იყოს ძირითადი და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ძირითად ფინანსურ აქტივებს მიეკუთვნება: ფულადი თანხები და მათი ეკვივალენტები, მიღებული თამასუქები, მომავალში მისაღები პროცენტები, მისაღები პროცენტები და სხვა მოთხოვნები.

ფინანსურ ვალდებულებებს კი მიეკუთვნება გაცემული თამასუქები, გამოშვებული ობლიგაციები, გადასახდელი პროცენტები, აღებული სესხები.

წარმოებული ფინანსურ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: ფიუჩერსები, ფორვარდული კონტრაქტები, ოფციონები, სვოპი და სპოტები.

ფინანსებს ძირითადად ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ: კონტროლის და კვლავწარმოების. კონტროლი გულისხმობს კონპანიაში გამოვლინდეს დამატებითი რეზერვები, რომლებიც წარმოების გაძლიერებისთვის იქნება გამოყენებული ესენი იქნება შრომითი ფულადი თუ დაფინანსების რეზერვები. ამას გარდა გამონახოს წარმოების გაუმჯობესებისთვის და ეფექტიანობის ამაღლებისთვის საუკეთესო გზები ასევე აღმოფხვრას მომავალში მოსალოდნელი არამწარმოებული დანაკარგები და შეამციროს ფინანსური რისკები.

სამეურნეო სუბიექტმა საწარმოო საშუალებები შეიძლება მოიძიოს სხვადასხვა გზით. შეიძლება ის შექმნას და შეიძინოს. მისი დაფინანსება შეიძლება სამი გზით: კრედიტით, სახელმწიფო დაფინანსებით და თვითდაფინანსებით. კომპანიის წინაშე სამი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა დგას:

1. ატივების რა რაოდენობა და როგორი შემადგენლობაა საჭირო სასურველი შედეგის მისაღწევად.
2. როგორი უნდა იყოს ქონების სტრუქტურა და დაფინანსების რა წყაროებით უნდა იქნეს მოზიდული
3. რა ხერხებით უნდა იქნეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გადახდის უნარიანობა უზრუნველყოფილი

ფინანსური მენეჯერის მთავარი მოვალეობაა: ფინანსურ რესურსების განაწილება, საწარმოს დაფინანსების წყაროების კონტროლი, სიანვესტიციო პოლიტიკა, ფულადი ნაკადების კონტროლი და ა.შ. აქედან გამომდინარე საწარმოს

ფინანსური ხასიათის საკითხებს პასუხისმგებლობა ფინანსისტს ეკისრება. მისი მიზანი არამხოლოდ ფინანსური სტაბილურობის ან პირიქით არასტაბილურობის ფამოვლენა და შეფასებაა არამედ ისეთი გზების გამონახვა, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსურ შედეგს და აამაღლებს განვითარების შესაძლებლობებს.

ფინანსური ანალიზის მიზნები ორი ძირითადი მიმართულებით ჩამოყალიბდა:

1. მოხდეს მომგებიანობის და გადახდის უნარიანობის შეფასება - გამომდინარე გარე მომხმარებლების ინტერესებიდან.
2. გამოვლინდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები - შიდა მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე.

კონკურენტუნარიანი და წარმატებული ფუნქციონერებისათვის საწარმოს ხელმძღვანელმა არა მარტო თავის კომპანიის არამედ სხვისი საწარმოს შესაძლებლობების შესახებ უნდა ფლობდეს ინფორმაციას.

ფინანსური ანალიზის წინაშე სამი ძირითადი მოთხოვნაა:

1. ფირმის საინვესტიციო პოლიტიკის კუთხით უზრუნველყოს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება.
2. საწარმოს რენტაბელობისა და მოგების დინამიკისა და პერსპექტივის შეფასება
3. საწარმოს დაფინანსების წყაროების ეფექტინი ფამოყენების შესაძლებლობა

აქედან გამომდინარე ფინანსური ანალიზის თემატური საკითხებია:

1. საწარმოს დაფინანსების წყაროების სტრუქტურის შესწავლა
2. ფინანსური ინვესტიციების ანალიზი
3. საწარმოს აქტივების ანალიზური შესწავლა
4. საწარმოს მომგებიანობის ანალიზი
5. ფულადი ნაკადების ანალიზი
6. ლიკვიდურობისა და გადახდის უნარიანობის ანალიზი
7. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანალიზი

ამას გარდა ფინანსური ანალიზი შეიძლება იყოს საწარმოთა შორისი და შიდასაწარმოო. როდესაც ფინანსური ანალიზი მხოლოდ ერთი საწარმოს ანალიზს

მოიცავს მას შიდა საწარმოო ეწოდება, ხოლო საწარმოთა შორისი ანალიზი გულისხმობს მსგავსი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების ანალიზს, რაც ეხმარება ბიზნეს პარტნიორებს უკეთესი ალტერნატივის არჩევაში და აქედან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსისტიწის წინაშე შემდეგი სახის მნიშვნელოვანი საკითხები წამოიჭრება:

1. აიცილოს გაბანკოტება და ფინანსური წარუმატებლობა
2. ფირმა უვნებლად გაატაროს კონკურენტულ ბრძოლაში
3. ფირმის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა
4. წარმოების და რეალიზაციის ზრდა
5. მოგების მაქსიმიზაცია
6. სოციალურ პროგრამებში ფირმის აქტიური მონაწილეობა
7. ხარჯების მინიმიზაცია

გლობალურ გარემოში აქტუალური გახდა კომპანიების ჩართულობა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ სოციალურ პროგრამებში.

ფინანსური ანალიზის ამოცნებია:

1. ფინანსური ანგარიშგების პოზიციების შეფასება/გამოვლენა
2. პერსპექტივაში ფირმის გადახდის უნარიანობისა და მომგებიანობის დინამიკის შეფასება
3. საინვესტიციო პოლიტიკის დარგში ფირმის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება
4. საწარმოს დაფინანსების წყაროების ეფექტიანობის შეფასება

ფინანსური მენეჯერი ანალიზისას იყენებს ინდუქციისა და დედუქციის ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს. მის გარეშე შეუძლებელია ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის ჩატარება და ფაქტორების გავლენის გაზომვა, რომლებიც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ შედეგებზე მოქმედებენ. ფინანსური ანალიზისას იგივე მეთოდები გამოიყენება როგორც ეკონომიკური ანალიზისას:

1. ანალიზის ჩატარების ტრადიციული ხერხები: მარტივი და რთული პროცენტები, დისკონტირება, ელიმინირების ხერხი, საბალანსო ხერხი, შედარება და არითმეტიკული გადახრები.
2. ტრადიციული სატატისტიკური ხერხები: საშუალო სიდიდეები, გრაფიკები, მწკრივები, ინდექსები, დაჯგუფებები.
3. მათემატიკური ლოდინის სხვადასხვა სახეობები, რომლებიც რამოდენიმე ეკონომიკური მაჩვენებლის ურთირთავშირის გამოსავლენად და შესაფასებლად გამოიყენება: დისპერსიული და ფაქტორული ანალიზი, კორელაციული, ალბათობის მეთოდები, როგორცაა, გადაწყვეტილებათა ხე, თამაშთა თეორია და ა.შ წრფივი და არაწრფივი პროგრამები და სხვა.

საბალანსო მეთოდს გამოიყენებენ საწარმოს შიგნით საბალანსო მაჩვენებლების წონასწორობის კონტროლისათვის. შედეგა თუ არა შემდეგი ტოლობები:

- აქტივები = საკუთარ კაპიტალს + ვალდებულებები
- მოგება = შემოსავალს - ხარჯები
- შემოსავლი = ხარჯებს + მოგება
- რეალიზაცია = მზა პროდუქციის საწყის ნაშთს + მზა პროდუქციის წარმოება - მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი
- მოთხოვნები = მოთხოვნების საწყისი ნაშთი + რეალიზაციის მოცულობა
- მოგება/ზარალი ფინანსური ანგარიშგებიდან - მყიდველებიდან მიღებული თანხები ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან და ა.შ

ზემოთ წარმოდგენილი ტოლობები აუცილებლად შესადგენ ტოლობებს წარმოადგენს და შემოწმებისას თუ რომელიმე დაირღვა სადღაც შეცდომაა და ის აუცილებლად უნდა გასწორდეს.

ტრადიციულ ანალიზურ ხერხს წამოადგენს შედარება, ის კონკრეტულ მაჩვენებლებს უპირისპირებს ერთმანეთს და ამის საფუძველზე ხდება მიღებული შედეგის ანალიზი. შედარება შეიძლება მოვახდინოთ გეგმიურ მაჩვენებლებთან, გასული წლის მაჩვენებლებთან, სხვა წარმატებული საწარმოს მაჩვენებლებთან ასევე დარგობრივ საშუალო მაჩვენებლებთან. მიღებული გადახრების საფუძველზე

გამოიკვეთება მისი დადებითობა ან უარყოფითობა რაც თავის მხირვ საწარმოს მოგებაზე იქონიებს გავლენას.

მას შემდეგ რაც გადახრები გამოვლინდება ხდება გადახრების გამომწვევი ფაქტორების გამოკვლევა, გაზომვა ანუ ტარდება ფაქტორული ანალიზი. ფაქტორების გასაზომად, რომლებიც გადახრებზე მოქმედებენ გამოყენება სახვადასხვა მთოდი მაგალითად ელიმინირების მეთოდი, რომელიც ძირითადა ორი სახეობისაა: ჯაჭვური ჩასმის ხერხი და აბსოლუტური სხვაობის ხერხი. აბსოლუტური ხერხი გამოიყენება შემდეგნარად: არსებული ფაქტორების გავლენა უდრის, ამ ფაქტორის გადახრა გამრავლებული მის წინ მდგომი ფაქტორის ფაქტიურ და შემდგომი ფაქტორის გეგმიურ მნიშვნელობაზე. ჯაჭვური ხერხის დროს თითოეული ფაქტორის გავლენა შემდეგნაირად გამოითვლება: დასაწყისში, ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში, ყველა ფაქტორის გამოყენება გეგმიურ დონეზე, შემდეგ, თანდათანობით შეიცვლება გეგმიური ფაქტორები ფაქტობრივი მნიშვნელობით და ყოველი მომდევნო გაანგარიშების შედეგად აკლდება წინა გაანგარიშების შედეგი, მიღებული სხვაობა კი გამოხატავს არსებული ფაქტორით გამოწვეულ გავლენას.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებიც ერთმანეთთან პირდაპირპროპორციულ ან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან. პირდაპირპროპორციული კავშირისას მაჩვენებლების ზრდასთან ერთად იზრდება შედეგობრივი მაჩვენებელიც, ხოლო პირიქითაა მაჩვენებლებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებისას.

ფაქტორული ანალიზის დროს აიგება ფაქტორული სისტემა, რომელიც წმინდა მატემატიკური ფორმულირებაა და საანალიზო მაცვენებლებს შორის კავშირს გამოხატავს. ეს კავშირი შეიძლება იყოს სტოხასტური და ფუნქციური.

ფუნქციური კავშირი უფრო ზუსტად იდენტიფიცირებულია, რადგან მასში მოქმედი ფაქტორების თითოეულ მნიშვნელობას სრულად განსაზღვრული არაშემთხვევითი მნიშვნელობა შეესაბამება და იგი შემდეგნაირად გადმოიცემა:

$$Y = f (X_1 \dots X_2 \dots X_3 \dots X_n)$$

Y - არის შედეგობრივი საკვლევი მაჩვენებელი

XII - არის ფაქტორ - მაჩვენებელი.

საწარმოს ფინანსური ანალიზში, რომლის მნიშვნელობას არაერთხელ გავუსვით ხაზი, გვეხმარება სხვადასხვა ხერხი, როგორცაა ფარდობითი სახის, ლოგარითმული, ინტეგრალური და სხვა ხერხები.

სამეურნეო ობიექტის საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას მეცნიერ ეკონომისტების გარკვეული ნაწილი შემდეგი სახით აჯგუფებს:

- ფინანსური მდომარეობის შეფასების მაჩვენებელი
- გადახდის უნარიანობისა და ლიკვიდურობის შეფასების მაჩვენებელი
- კომპანიის ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებელი
- საქმიანობის აქტივობის შეფასების მაჩვენებელი
- მომგებიანობის და საინვესტიციო შეფასების მაჩვენებელი

ზემოთ მოყვანილ ჯგუფებში ერთიანდება რამოდენიმე მაჩვენებელი. უფრო კონკრეტულად მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ:

I საწარმოს ფინანსური მდომარეობის ზოგადი სურათი.

ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზისას ხდება მასში მოცემული მონაცემების წინა პერიოდის მონაცემებთან შედარება და გადახრების გამოვლენა.

ვერტიკალური ანალიზის დროს კი ხდება მათი საშედეგო ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრა.

ტრენდული ანალიზისას ხდება ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება მთელ რიგ წინა პერიოდებთან.

შედარებითი ანალიზის გაკეთებისას მიმდინარეობს საწარმოს ქვედანაყოფების, საამქროების ან საწარმოთაშორისი მაჩვენებლების კონკურენტ საწარმოებთან შედარება და კიდევ მოცემული დარგის საშუალო მაჩვენებელთა შედარება.

II. ფინანსური მდომარეობის კოეფიციენტების ანალიზი

საწამოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები:

- ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილის ხვედრითი წილი
- ფონდტევადობის მაჩვენებელი
- ფონდუკუგების კოეფიციენტი
- ცვეთის კოეფიციენტი
- განახლების კოეფიციენტი
- გასავლის კოეფიციენტი

გადახდის უნარიანობისა და ლიკვიდურობის შეფასების მაჩვენებლები:

- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი
- სწრაფი ლიკვიდურობის მაჩვენებელი
- მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
- საკუთარი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაკარგვაში
- მარაგების დაგარვის კოეფიციენტი

ფინანსური მდომარეობის შეფასების მაჩვენებლები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი
- ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი
- ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი
- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი
- სახსრების მანევრირების კოეფიციენტი
- საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი
- სახსრების მობილურობის კოეფიციენტი
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი
- გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურული კოეფიციენტი
- ფინანსური ლევერეჯის კოეფიციენტი

საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები:

- ფონდ უკუგების კოეფიციენტი
- საბრუნავი სახსრების ბრუნვალობის კოეფიციენტი

- კრედიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი
- დებიტორული დავალიანების დაფარვის კოეფიციენტი
- საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობის კოეფიციენტი
- რესურსების უკუგების კოეფიციენტი
- ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი

მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები

- საერთო მოგების მარჟა
- საოპერაციო მოგების მარჟა
- წმინდა მოგების მარჟა
- აქტივების შემოსავლების კოეფიციენტი
- უკუგება გამოყებულ კაპიტალზე ანუ გამოყენებული კაპიტალის რენტაბლობის დონე
- უკუგება ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა კაპიტალზე, ანუ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა
- აქტივების რენტაბელობა
- ინვესტიციების რენტაბელობა

ძირითადი მაჩვენებლების ამ ხერხით დალაგება საშუალებას იძლევა შევავსოთ სრულად და ობიექტურად საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ამ მეთოდს გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნია, კერძოდ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდი დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის, თუმცა თითონ კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავდება.

მოცემული თეორიდან გამომდინარე განვიხილავ შპს ლიდერფუდის ფინანსურ ანგარიშგებას და გავანალიზებ მის ფინანსურ მონაცემებს.

შპს „ლიდერფუდი“ დაახლოებით 12 წლისაა. მისი დამფუძნებელი და დირექტორი გახლავთ ბატონი დავით ზეიკიძე, რომელიც ორგანიზაციის 100%-იანი წილის მფლობელია. საწარმო მდებარეობს ქალაქ მცხეთაში, მცხეთის ქ.#73-ში. მისი სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს „ლიდერფუდი“-ის საწარმო წარმოადგენს ამიერკავკასიაში ყველაზე დიდ ხორცპროდუქტების მწარმოებელ კომპანიას. ის დაახლოებით 12 წელია წარმატებით მოღვაწეობს ამ სფეროში და აწვდის თავის მომხმარებელს მაღალი სტანდარტებით წარმოებულ პროდუქციას. დღევანდელი მდგომარეობით საწარმო 150 დასახელების პროდუქტს აწარმოებს, რომელიც მაქსიმალურად გათვლილია ყველა სახის მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც ერთგვარი წინაპირობაა კომპანიის გაყიდვების ზრდის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საწარმომ დაახლოებით სამი წელია პროექტ „აწარმოე საქართველოს ფარგლებში“ -ის დახმარებით ქალაქ მცხეთაში ააგო უფრო მაღალი ევროპული დონის საწარმო, სადაც წარმოება მაღალი სტანდარტებით მიმდინარეობს და მკაცრად კონტროლირდება. წარმოებას გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ტექნოლოგები უძღვებიან. დაცულია ყველანაირი ჰიგიენის ნორმები, ამასთან სამუშაო ძალის უსაფრთხოება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს საწარმოსთვის.


მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათთან მისული პროდუქციის წარმოების უშუალო დეტალები ცნობილია. არაერთხელ გაკეთდა წარმოების პროცესების ეკრანიზაცია, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორ და რა პირობებში იწარმოება კომპანიის პროდუქცია.

საწარმო დღეში დაახლოებით 25 ტონა პროდუქციას აწარმოებს, უახლოეს მომავალში ამ ციფრის 30%-იანი ზრდაა მოსალოდნელი.

ნედლეულის ძირითადი მომწოდებლები უცხოური კომპანიებია, მაგრამ ქართული ხორცის მიწოდება მთლიან მოხმარებულ ნედლეულში თანდათან იზრდება, რაც ერთგვარი სტიმულატორია ქართული ხორცის მიწოდების ზრდის და შესაბამისად სასაქონლო მეურნეობის აღორძინების. ეს ფაქტი კი ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

საწარმომ გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც და დღეს საწარმოში 650-მდე ადამიანია დასაქმებული.

ორგანიზაციის სტრუქტურა:



საწარმოს თოთოეული ელემენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, საწარმოს წინსვლა მათი შეთანხმებული და კომპლექსური მუშაობის შედეგია.

გაყიდვების სამსახური ვაიზერებისა და პრისეილერების დახმარებით იღებს შეკვეთებს მაღაზიებიდან. შეკვეთას პროგრამის მეშვეობით ახარისხებენ თუ რომელი სახის და რამდენი პროდუქცია უნდა დამზადდეს. შემდეგ ეს ინფორმაცია მიეწოდება წარმოებას. ცეხში არსებული მაღალტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით, ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმების კონტროლით მიმდინარეობს პროდუქციის დამზადება. მზა პროდუქცია გადააქვთ მზა პროდუქციის საწყობში, საიდანაც უკვე დისტრიბუციის სამსახურის მეშვეობით ხორცპროდუქტები მიეწოდება მაღაზიებს.

მარკეტინგის სამსახური ზრუნავს კომპანიის ცნობადობის ამაღლებაზე, მომხმარებელთან ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე რეკლამის და სხვადასხვა პიარ ღონისძიებების გზით. მომხმარებლების და მათი მოთხოვნილებების კარგად გაანალიზება სურვილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას უწყობს ხელს, რაც მეტ კმაყოფილ მომხმარებელს ნიშნავს, მეტი კმაყოფილი მომხმარებელი პროდუქციის რელიზაციის ზრდის წინაპირობაა და შესაბამისად მოგების.

ბუღალტერიის განყოფილება აკონტროლებს კომპანიის აქტივებს, პასივებს და ვალდებულებებს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლოვაში იცავს ბალანსს და მისი დასრულების ბოლოს გვიჩვენებს სამეურნეო საქმიანობის შედეგს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარეობს კომპანიის წინსვლა და მისი სტაბილურობა კონკურენტულ გარემოში.

2 მიმდინარე გადახდის უნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზი

როგორც კვლევის დასაწყისში აღვნიშნეთ საწარმოს გადარჩენისა და მისი კონკურენტ უნარიანი ფუნქციონირებისათვის ფინანსური ანალიზის გაკეთდება და ფინანსური მაჩვენებლების შეფასება დიდი როლს თამშობს. მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლებია გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლები. საწარმო ფინანსურად სტაბილურად შეიძლება მივიჩნიოთ თუ მას აქვს შესაძლებლობა ეკონომიკური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები დაფაროს უპრობლემოდ მისი წარმოებული მომსახურებით ან საქონლით და საბოლოო ჯამში იყოს მომგებიანი. „ლიკვიდურობა“ ლათინურის სიტყვაა და თხევადს ნიშნავს. ლიკვიდურობის უნარი მდგომარეობს იმაში, რომ საწარმოს აქვს შესაძლებლობები ვალდებულებები მოცემულ ვადებში დაფაროს. ლიკვიდურ საწარმოში მიმდინარე აქტივების რაოდენობა მეტია მოკლევადიან მიმდინარე ვალდებულებებზე, ხოლო თუ პიქით ვითარდება მოვლენები ანუ მოკლევადიანი ვალდებულებები მეტია მიმდინარე აქტივებზე მაშინ ადგილი აქვს კაპიტალის დეფიციტს.

საწარმოს გადახდის უნარიანობაში იგულისხმება, იმ ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებში დაფარვა, რომლებიც წარსული პერიოდის შედეგია და დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირებასთან. დავალიანების ვადაგადაცილების შემთხვევაში საწარმო ვალდებულია ამ შემთხვევით გამოწვეული საურავები და ჯარიმები გადაიხადოს რაც დამატებითი ხარჯია ბიზნესისთვის, აქედან გამომდინარე გადახდისუნარიანობის კონტროლი მუდმივად საკონტროლოებელ მაჩვენებელს წარმოადგენს. ამ მნიშვნელოვანი მაჩვენებლით დაინტერესებულები არიან არამარტო საწარმოს მესაკუთრეები არამედ სხვა შიდა და გარე მომხმარებლები - ინვესტორები, საკრედიტო დაწესებულებები, ბიზნეს პარტნიორები და ა.შ. აქედან გამომდინარე ფინანსური ანალიზის ჩატარებისას პირველ რიგში ხდება საწარმოს გადახდისუნარიანობის შეფასება. საწარმოს ლიკვიდურ ატივებში იგულისხმება: მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ფასიანი ქაღალდები. მათ კომპანიის საბრუნავ საშუალებებსაც უწოდებენ იქედან

გამომდინარე, რომ მათში დაბანდებული ღირებულება წელიწადში რამოდენიმეჯერ შემობრუნდება. გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ორი მნიშვნელოვანი ტერმინი: მიმდინარე აქტივი - გულისხმობს აქტივს ფიზიკურად ანუ მის გამოსაყენებელ სახეს, სახმარ ღირებულებას. საბრუნავი საშუალებები კი გულისხმობს მოკლევადიან მიმდინარე აქტივში ჩადებულ ანუ ავანსირებულ ფულს. აქედან გამომდინარე, როდესაც ვამბობთ, რომ მიმდინარე აქტივებ სწრაფად ბრუნვადი აქტივების ვგულისხმობთ არა მისი ფიზიკურად ერთი და იგივე სახის აქტივის მრავალჯერ ბურუნვას არამედ მათი ღირებულებით მაჩვენებლების მოძრაობას. რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ავანსირებული ღირებულების ბრუნვა მით უფრო სწრაფად ხდება მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა და შესაბამისად იმატებს საწარმოს ლიკვიდურობის მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე საწარმოს გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, მაგარამ ეს რათქმაუნდა არ ნიშნავს იმას, რომ ისენი ერთი და იგივე ცნებები არიან. შესაძლებელია ფირმაში ლიკვიდურობის მაჩვენებელი მაღალი იყოს და ამვდროულდა აქტივების გარკვეული ნაწილი კლასიფიცირდებოდეს, როგორც ვადაგადაცილებულ და ბაზარზე არარეალიზებად აქტივებად.

გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის მაჩვენებლები შესაძლებელია შეფასდეს სხვადასხვა აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. აქედან აბსოლუტურ მაჩვენებლებს წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობა ხასიათდება: ლიკვიდურობის კოეფიციენტებით, გადახდის უნარიანობის ბალანსით და მარაგების დაფარვის მაჩვენებლით. კომპანიის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებია:

1. გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა
2. ლიკვიდურობის კოეფიციენტის დინამიკის შესწავლა
3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი
4. დასკვნების გაკეთება და საჭირო ღონისძიებების შემუშავება

ბალანსის აქტივით კლებადი ლიკვიდურობის მიხევით დალაგებული აქტივები უდარდება პასივის მხარეს მოცემულ ვალდებულებებს, რომლებიც დაჯგუფებულია

გადახდის ვადის მიხედვით. მაშასადამე გადახდის უნარიანობისა და ლიკვიდურობის ანალიზი წარმოადგენს აქტივში ასახული საშუალებების შედარებას პასივში მოცემულ ვალდებულებებთან.

კომპანიის გადახდისუნარიანობა გვიჩვენებს საკმარისია თუ არა კომპანიის აქტივები მისი მიმდინარე ვალდებულებები დასაფარად. უფორ უკეთესი იქნება თუ მიმდინარე აქტივები აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს საბრუნავი საშუალებების დეფიციტს. გადახდისუნარიანობის ანალიზი კეთდება ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე.

საწარმოს აქტივები შესაძლებელია დაჯგუფდეს ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით:

A1 მაღალლიკვიდური აქტივები - საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი დაბანდებები.

A2 სწრაფად რეალიზებადი აქტივები - ის დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს.

A3 ნელა რეალიზებადი აქტივები - მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანების ის ნაწილი, რომლის დაფარვის ვადა 12 კალენდარულ თვეს აღემატება.

A4 ძნელად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები: არამატერიალური აქტივები, ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი წარმოება, საწარმოს ვალდებულებები მათი დაფარვის ვადებიდან გამომდინარე.

L1 სასწრაფო ვალდებულებები - ბანკის მიკლევადიანი სესხები და კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც უკვე ვადამოსულია.

L2 მოკლევადიანი ვალდებულებები - ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები..

L3 გრძელვადიანი ვალდებულებები - ბანკის გრძელვადიანი სესხები, გრძელვადიანი თამასუქები, ფინასური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები, გასანაღდებელი თამასუქები.

L4 მუდმივი პასივები - საკუთარიკაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

ლიკვიდურია აბსულუტურად საწარმოს ბალანსი, თუ ადგილი აქვს შემდეგ ტოლობებს: $A1 \geq L1$, $A2 \geq L2$, $A3 \geq L3$, $A4 \leq L4$.

თუ შესრულდა პირველი სამი უტოლობა მაშინ აუცილებლად შესრულდება მეოთხეც. მეოთხე უტოლობა ერთგვარი გადამოწმებაა და აბალანსებს წინა სამ უტოლობას ამას გარდა გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსი. მოცემული უტოლობების შესრულება მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოში ფინანსური მდგრადობაა მინიმუმ მინიმალური დონეზე დაცული, ეს კი თავისმხრივ ნიშნავს, რომ საწარმოში არსებობს საკუთარი საბრუნავი საშუალებები. იმ შემთხვევაში თუ ამ უტოლობიდან რომელიმე არ შესრულდა საწარმოს ლიკვიდურობა არ არის აბსოლუტური, ამასთან რომლიმე ჯგუფის აქტივობა არ კომპენსირდება სხვა ჯგუფში ზედმეტობით, იქედან გამომდინარე, რომ კომპენსაცია ღირებულებითი ფორმით ხდება.

ნაშრომში ფინანსური ანგარიშგება მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, ეს იმას ნიშნავს, რომ, შპს ლიდერფუდი მომავალშიც შეძლებს დააკმაყოფილოს და დაფაროს კრედიტით გამოწვეული ვალდებულებები. კომპანია ბოლო სამი წელია მოგებაზე გადის და აქედან გამომდინარე კეთდება მყარი პოროგნოზი იმისა, რომ ის ფუნქციონირებას გააგრძელებს მომავალშიც.

ფინანსური მდოგარეობის ანგარიშგება 2016-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

| | 31-დეკ-2018 | 31-დეკ-2017 | 31-დეკ-2016 |
|------------------------------|-------------|-------------|-------------|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 10,407,116 | 8,881,796 | 4,782,826 |
| არამატერიალური აქტივები | 18,790 | 8,910 | 4,750 |
| ინვესტიცია | 1,989,340 | - | - |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 12,415,246 | 8,890,706 | 4,787,576 |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგი | 2,508,226 | 6,775,990 | 1,425,759 |

| | | | |
|----------------------------------|------------|------------|-----------|
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | | 986,693 | 343,576 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 8,464,545 | 4,217,832 | 2,551,782 |
| წინასწარ გადახდილი პროცენტები | 101,654 | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 804,132 | 549,155 | 454,072 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 11,878,557 | 12,529,671 | 4,775,189 |
| სულ აქტივები | 24,293,803 | 21,420,377 | 9,562,766 |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| მიღებული სესხები | 7,366,475 | 7,485,422 | 6,473,931 |
| საპროცენტო ვალდებულებები | - | 369 | - |
| სახელფასო ვალდებულებები | 319,966 | 325,761 | - |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 4,704,916 | 5,059,863 | 3,030,205 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 12,391,357 | 12,871,415 | 9,504,136 |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | 4,150 | 4,150 | 4,150 |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | 4,150 | 4,150 | 4,150 |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 568,787 | 568,787 | 44,787 |
| გაუნაწილებელი მოგება | 7,976,025 | 9,693 | 3,811,540 |
| გაცემული დივიდენდი | 1,791,211 | 1,603,765 | 7,440,033 |
| მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი | 5,144,695 | 9,570,097 | 3,638,186 |
| სულ კაპიტალი | 11,898,296 | 8,544,812 | 54,480 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 24,293,803 | 21,420,377 | 9,562,766 |

სამეუნეო სუბიექტის ბალანსი შეგვიძლია აბსოლიტურად ლიკვიდურად მივიჩნიოთ თუ შემდეგ ტოლობებს აქვს ადგილი: $A1 \geq L1$, $A2 \geq L2$, $A3 \geq L3$, $A4 \leq L4$.

2016 წელი: 454,072 < 3,030,205; 2,551,782 < 6,473,931;
 1,425,759 < 9,504,136; 4,787,576 > 54,480.

2017 წელი: 549,155 < 5,059,863; 4,217,832 < 7,485,422
 6,775,990 < 12,871,415; 8,890,706 > 8,544,812.

2018 წელი: 804,132 < 4,704,916; 8,464,545 > 7,366,475;
 2,508,226 < 12,391,357; 12,415,246 > 11,898,296.

მაჩვენებლების ანალიზი ლიკვიდრობის კუთხით გვამღებს იმის თქმის საშუალებას, რომ 2018 წელი წინა წლებთან შედარებით უფრო ლიკვიდურია ამასთან შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბსოლუტურ ლიკვიდურობას კომპანია ვერც ერთ წელს ვერ აჩვენებს! ლიკვიდურობის არსი მდგომარეობს იმაში თუ რამდენად გადახდის უნარიანია კომპანია, ანუ რა სიჩქარით იბრუნებს საწარმო ავანსირებულ ფულს და ფარავს ვალდებულებებს. მას ხშირად დაფარვის კოეფიციენტსაც უწოდებენ. თუ ეს კოეფიციენტი ტოლია ან მეტია ერთზე შესაძლებელია ითქვას, რომ სახეზეა გადახდის უნარიანობის იდეალური ვარიანტი.

საწარმოს აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები მოცეულია ბალანსში, რაც საშუალებას გვამღებს შევისწავლოთ საწარმოს ლიკვიდურობა ანუ გადახდის უნარიანობა წლის მანძილზე. ამასთან შეგვიძლია შევაფასოთ ბიზნესის აქტიურობა, რამდენად შეუძლია დაფაროს წარმოშობული ვალდებულებები, რამდენად დამოკიდებულია სხვაზე(კრედიტორებზე) ანუ კაპიტალის რა წილია დაფინანსებული ვალდებულებებით.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი სამი მიმართულებით შეგვიძლია გავაკეთოთ: ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კოეფიციენტების ანალიზი, სადაც ანგარიშგების კერძო და კომბინირებულ კოეფიციენტებს გამოყოფენ.

ყურადღება გასამახვილებელია ბუღალტრული ბალანსის აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებზე. არსებული მაჩვენებლები შესაძლებელია იყოს კერძო და კომბინირებული.

I. ბალანსის მაჩვენებლები ისეთი მაჩვენებლებია, რომელთა გამოსათვლელად მხოლოდ ბალანსის ინფორმაციაა საკმარისი. ისენი ბალანსის კერძო მაჩვენებლები არიან. ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მაჩვენებლები:

- ბალანსის ჰორიზონტალური მაჩვენებლებია: საკუთარი საბურუნავი კაპიტალის და ფინანსური სტაბილურობის მოცულობითი მაჩვენებლები, დინამიკური კოეფიციენტები.
- ბალანსის ვერტიკალური კოეფიციენტები: ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტი, საკუთარი საბურუნავი კაპიტალის უზრუნველყოფის კოეფიციენტი, სტრუქტურული კოეფიციენტი, ლიკვიდურობის კოეფიციენტი.

II. კონბინირებული მაჩვენებლების გამოთვლა კი შეუძლებელია მხოლოდ ბალანსის მონაცემების საშუალებით. ესენია: მარაგების ბრუნვადობა, აქტივების მომგებიანობა, კრედიტორული დაბალიანების დაფარვის რიცხვი, მოთხოვნის ინკასაცია და სხვა კოეფიციენტები, რომლებიც საჭიროებენ ანგარიშგების სხვადასხვა კოეფიციენტებს.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზი დაგვეხმარება შევისწავლოთ კომპანიის კაპიტალი და მისი დაფინანსების წყაროები. რაც გულისხმობს იმას, რომ გავიგოთ კომპანიის ქონება რის ხარჯზე იქნა შეძენილი კაპიტალის თუ ნასესხები საშუალებების. საწაროს ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება შეიცვალოს მიმდინარე პერიოდის ბოლოსათვის. ამ ცვლილებების ანუ გადახრების ანალიზი გვადლევს საშუალებას შევაფასოთ საწარმოს გადახდის უნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები.

აბსოლუტურად ლიკვიდურია კომპანია თუ სრულდება შემდეგი უტოლობა:

ფული და მისი ეკვივალენტები \geq ვადადამდგარი ვალდებულებები;

ფულის, მისი ეკვივ. და დებიტ დავ. ჯამი \geq მოკლევადიანი ვალდებულებები;

მატერიალური მარაგები \geq ვალდებულება მოწოდებიდან;

გრძელვადიანი აქტივები \geq პრემენენტული კაპიტალი (გრძელვად. ვალდ. და საკუთ. კაპ. ჯამი).

ჰორიზონტალური ანალიზისას რამოდენიმე პერიოდის მონაცემები ედრება ერთმანეთს და გამოითვლება მათი ცვლილების ტენდენციების პროცენტული

მაჩვენებელი საბაზისო წელთან შედარებით. ეს ანალიზი აჩვენებს თუ რამდენი პროცენტით შეიცვალა კონკრეტული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით. ინდივიდუალური მაჩვენებლების გამოსათვლელად, როგორც აბსოლუტური ისე შეფარდებითი, მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციაა საკმარისი.

ესენია:

I. ბალანსის სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები;

II. ლიკვიდურობის კოეფიციენტები. მათ მიეკუთვნება აბსოლუტური, სწრაფი და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები და აჩვენებენ, რამდენად შეუძლია საწარმოს არსებული და მისაღები ფულით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ლიკვიდურობის კოეფიციენტები გამოითვლება მიმდინარე აქტივების შემადგენელი ჯგუფების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან;

III. ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები ახასიათებენ რამდენად ფარავს საკუთარი საბრუნავი საშუალებები და დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები მატერიალურ მარაგებს;

IV. ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებია ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები და სხვა;

ბუღალტრული ბალანსის კომბინირებული მაჩვენებლები:

1. მომგებიანობის მაჩვენებელი აქტივებზე, რომლის გამოთვლასაც, როგორც მოგება/ზარალის ასევე ბალანსის ინფორმაცია ჭირდება.
2. უკუგების მაჩვენებელი საკუთარ კაპიტალზე, რომელთა გაანგარიშებისთვის საჭიროა საკუთარი კაპიტალის, მოგება/ზარალის და ბალანსის ინფორმაცია.
3. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები, რომლის გამოთვლისთვის ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგებებია საჭირო.

კერძო და კომბინირებული მაჩვენებლების უბრალო გამოთვლით საქმე არ სრულდება აუცილებელია მათი გადახრების როგორც გამოვლენა ისე შესწავლა და მათზე ფაქტორული და კორელაციური ანალიზი. ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრული ბალანსის ანალიზისას შედეგ კითხვებს გაეცემა პასუხი: საწარმოს მოცემულ მომენტში შეუძლია თუ არა დაფაროს მიმდინარე მოკლებადიანი ვალდებულებები, არსებობს თუ არა საწარმოში საკმარისი საკუთარი კაპიტალი, როგორია ბიზნესის აქტივობა იზრდება თუ არა ბიზნესის მასშტაბი, უსწრებს თუ არა მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპს, საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი უსწრებს თუ არა ვალდებულებების ზრდის ტემპს და ბალანსში არის თუ არა ზარალი.

ვერტიკალური ანალიზის საშუალებით შევისწავლით საწარმოს ქონების და დაფინანსების წყაროების სტრუქტურას, რომელიც ხასიათდება ხვედრითი წილის მაჩვენებლებით. ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მაჩვენებელია თუ საიდან არის საწარმოს ქონება დაფინანსებული თუ დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით და მისი წილი აღემატება ვალდებულებების წილს შესაძლებელია ითქვას დადებითი ფირმის ფინანსური სტაბილურობის შესახებ.

შპს ლიდერფუდის აქტივების და დაფინანსების წყაროების ზოგადი სტრუქტურა.

| მაჩვენებლები | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 31 დეკემბერი |
|---------------------------|----------------------------------|------------------------------------|------------------------------------|
| სულ გრძელვადიანი აქტივები | $(4,787,576/9,562,766)*100=50\%$ | $(8,890,706/21,420,377)*100=42\%$ | $(12,415,246/24,293,803)*100=51\%$ |
| სულ მიმდინარე აქტივები | $(4,775,189/9,562,766)*100=50\%$ | $(12,529,671/21,420,377)*100=58\%$ | $(11,878,557/24,293,803)*100=49\%$ |
| ჯამი (%) | 100 | 100 | 100 |
| სულ კაპიტალი | $(54,480/9562,766)*100=1\%$ | $(8,544,812/21,420,377)*100=40\%$ | $(11,898,296/24,293,803)*100=51\%$ |
| სულ ვალდებულებები | $(9,508,286/9,562,766)*100=99\%$ | $(12,875,565/21,420,377)*100=60\%$ | $(12,395,507/24,293,803)*100=49\%$ |
| ჯამი(%) | 100 | 100 | 100 |

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ 2016 წელს აქტივები 99% დაფინანსებულია ვალდებულებებით, რაც ფირმის არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს. შემდეგ წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. 2017 წელს საკუთარი კაპიტალის წილი 40% პროცენტია, რაც დიდი ზრდის ტემპის მაჩვენებელია და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების მაჩვენებელი. 2018 წელს კი კაპიტალის წილმა მთლიან ვალდებულებებსა და კაპიტალში 50%-ტს გადააჭარბა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფირმის აქტივების ნახევარზე მეტი საკუთარი სახსრებით არის დაფინანსებული და ფირმა ფინანსურ სტაბილურობას აუმჯობესებს!

ბუღალტრული ბალანსისი ელემენტების სტრუქტურა:

| | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 31 დეკემბერი |
|----------------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 99.90 | 99.90 | 83.83 |
| არამატერიალური აქტივები | 0.10 | 0.10 | 16.17 |
| ჯამი | 100 | 100 | 100 |
| მიმდინარე აქტივები | | | |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები | 29.86 | 54.08 | 21.12 |
| გადახდილი ავანსები | 7.20 | 7.87 | 0.00 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 53.44 | 33.66 | 71.26 |
| დეპოზიტები | 0.00 | 0.00 | 0.86 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 9.51 | 4.38 | 6.77 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 100 | 100 | 100 |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 82.21 | 6.66 | 4.78 |
| გაუნაწილებელი მოგება | 6996.22 | 0.11 | 67.04 |
| გაცემული დივიდენდი | -13656.45 | -18.77 | -15.05 |
| მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი | 6678.02 | 112.00 | 43.24 |
| სულ კაპიტალი | 100 | 100 | 100 |
| ვალდებულებები | | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | |
| მიღებული სესხები | 68.12 | 58.16 | 59.45 |
| საპროცენტო ვალდებულებები | 0.00 | 0.00 | 0.00 |

| | | | |
|-------------------------------|-------|-------|-------|
| სახელფასო ვალდებულებები | 0.00 | 2.53 | 2.58 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 31.88 | 39.31 | 37.97 |
| ჯამი | 100 | 100 | 100 |

ზემოთ ცხრილში განხილულია კომპანიის ბალანსის ვერტიკალური ანალიზი, რაც გულისხმობს იმას, რომ თითოეული სტრუქტურის შემადგენელი ნაწილის წილი შეისწავლება მთლიან სტრუქტურასთან მიმართებაში. მაგალითად სავაჭრო მოთხოვნები მთელი აქტივების რაოდენობაში შემდეგნაირად ნაწილდება წლების მიხედვით: 2016 წელს დაახლოებით 53%, შემდეგ მოიკლო და 2017 წელს მისი წილი მთლიან აქტივებში 33% შეადგენდა, მაგრამ ბოლო წელს გაიზარდა და 71% მიაღწია. სავაჭრო მოთხოვნების ესეთი ცვლილება სახარბიელო არ არის და მენეჯერმა ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ საკითხს. ვერტიკალური ანალიზის დროს უარყოფით მოვლენად ითვლება, როდესაც იზრდება მთლიან აქტივებში მარაგების და მოთხოვნების წილი და მცირდება ფულისა და მისი ეკვივალენტების წილი. 2016 წლიდან ჯერ შემცირდა თითქმის განახევრდა ფულადი ეკვივალენტების პროცენტული მაჩვენებელი რაც უარყოფითი შედეგია, მაგრამ 2018 წელს მისი ზრდა შეინიშნება, რაც შეეხება მოთხოვნებს ბოლო წელს საგრძნობლად არის გაზრდილი და როგორც აღვნიშნეთ მენეჯერმა ყურადღება უნდა მიაქციოს! კაპიტალისა და ვალდებულებების ანალიზისას ყურადღება გასამახვილებელია ავანსირებული თანხის ბრუნვადობის მაჩვენებელზე იზრდება იგი თუ პირიქით ნელდება. ასევე რამდენად არის დამოკიდებული ფირმა კრედიტორული დავალიანებებზე ანუ მისი აქტივები კაპიტალითაა დაფინანსებული თუ ვალდებულებებით.

ფირმა უპრობლემოდ დაფარავს თავის ვალდებულებებს თუ ის აბსოლუტურად ლიკვიდურია ანუ სრულდება შემდეგი უტოლობები:

ფული და მისი ეკვივალენტები \geq ვადადამდგარი ვალდებულებები;

2016 წელი: $454,072 < 3,030,205$;

2017 წელი: $549,155 < 5,059,863$;

2018 წელი: $804,132 < 4,704,916$;

როგორც ვხედავთ სამივე წელს არასტაბილური ვითარებაა, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს უკეთესი მდგომარეობაა წინა წლებთან შედარებით, რადაგან აქ ნაკლებობა უფრო დაბალი რაოდენობით ვლინდება.

ფულის, მისი ეკვივ. და დებიტ დავ. ჯამი \geq მოკლევადიანი ვალდებულებები

2016 წელი: $2,551,782 < 6,473,931$

2017 წელი: $4,217,832 < 7,485,422$

2018 წელი: $8,464,545 > 7,366,475$;

სამივე წელს უარყოფითი შედეგებია კომპანიას არ აქვს რესურსი, რომ დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.

მატერიალური მარაგები \geq ვალდებულება მოწოდებიდან

2016 წელი: $1,425,759 < 9,504,136$

2017 წელი: $6,775,990 < 12,871,415$;

2018 წელი: $2,508,226 < 12,391,357$;

ამ მაჩვენებლების შედარებისას ასევე ვაკეთებთ ანალიზს რომ კომპანიას არ აქვს კარგი მდგომარეობა, მას მარაგების რაოდენობა 2017 წელს საგრძნობლად ეზრდება ხოლო 2018ში იკლებს მაგრამ მაინც ნაკლებია მოწოდებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებზე.

გრძელვადიანი აქტივები \geq პერმენენტული კაპიტალი (გრძელვად. ვალდ. და საკუთ.

კაპ. ჯამი)

2016 წელი: $4,787,576 > 54,480$.

2017 წელი: $8,890,706 > 8,544,812$.

2018 წელი: $12,415,246 > 11,898,296$.

აღნიშნული მაჩვენებლები სამივე წელს არღვევს ლიკვიდურობის პირობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია არასახარბიელო მდგომარეობაშია.

ჩვენ განვიხილეთ სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე ლიდერფუდის მაჩვენებლები, მაგრამ ის ერთგვარი შეზღუდულობით ხასიათდება, რასაც

დინამიკური ანუ ჰორიზონტალური ანალიზი ავსებს. ბალანსის ჰორიზონტარული ანალიზი მისი მუხლების, აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის, ცვლილების ტენდეციებს შეისწავლის საბაზისო წელთან მიმართებაში.

ბალანსის მთავარი ელემენტების პროცენტული ცვლილება 2016 წელთან შედარებით.

| | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის ცვლილება(%) | 2018 წლის ცვლილება(%) |
|---------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 4,787,576 | 8,890,706 | 12,415,246 | 85.70 | 159.32 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 4,775,189 | 12,529,671 | 11,878,557 | 162.39 | 148.76 |
| სულ აქტივები | 9,562,766 | 21,420,377 | 24,293,803 | 124.00 | 154.05 |
| სულ კაპიტალი | 54,480 | 8,544,812 | 11,898,296 | 15584.31 | 21739.75 |
| სულ ვალდებულებები | 9,508,286 | 12,875,565 | 12,395,507 | 35.41 | 30.37 |

მოცემული ცხრილიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი ანალიზი: აქტივების მოცულობა და მისი ზრდის ტემპი მაღალია, მთლიანი აქტივები იზრდება საგრძნობლად 2016 წელთან შედარებით. აღსანიშნავია ასევე, რომ კომპანიის ვალდებულებები ხასიათდება კლებადი ცვლილებით ანუ 2018 წელს შემცირებულია უფრო მეტად ვიდრე 2017 წელს 2016 წლის მონაცემებთან შედარებით. ამას პლუს აქტივების ზრდის ტემპი გაცილებით დიდია ვალდებულებების ზრდის ტემპზე, რაც დადებითი შედეგის მაჩვენებელია კომპანიისთვის.

ბუღალტრული ბალანსის მუხლების დინამიკა (%-ად) 2016 წელთან

| | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის ცვლილება(%) | 2018 წლის ცვლილება(%) |
|---------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|--------------------------|--------------------------|
| აქტივები | | | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 4,782,826 | 8,881,796 | 10,407,116 | 85.70 | 117.59 |
| არამატერიალური აქტივები | 4,750 | 8,910 | 18,790 | 87.58 | 295.58 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 4,787,576 | 8,890,706 | 10,425,906 | 85.70 | 117.77 |

| | | | | | |
|--------------------------------|------------|------------|------------|---------|---------|
| მიმდინარე აქტივები | | | | | |
| სასაქონლო მატერიალური მარაგები | 1,425,759 | 6,775,990 | 2,508,226 | 375.25 | 75.92 |
| გადახდილი ავანსები | 343,576 | 986,693 | 0 | 187.18 | -100.00 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 2,551,782 | 4,217,832 | 8,464,545 | 65.29 | 231.71 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 454,072 | 549,155 | 804,132 | 20.94 | 77.09 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 8,577,037 | 12,529,670 | 11,776,903 | 46.08 | 37.31 |
| სულ აქტივები | 13,364,613 | 21,420,376 | 22,202,809 | 60.28 | 66.13 |
| კაპიტალი | | | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 44,787 | 568,787 | 568,787 | 1169.98 | 1169.98 |
| გაუნაწილებელი მოგება | 3,811,540 | 9,693 | 7,976,025 | -99.75 | 109.26 |
| სულ კაპიტალი | 3,856,327 | 578,480 | 8,544,812 | -85.00 | 121.58 |
| ვალდებულებები | | | | | |
| მიმდინარე ვალდებულებები | | | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 3,030,205 | 13,352,324 | 6,287,372 | 340.64 | 107.49 |
| სესხები | 6,473,931 | 7,485,422 | 7,366,475 | 15.62 | 13.79 |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | 4,150 | 4,150 | 4,150 | 0.00 | 0.00 |
| სულ მიმდინარე ვალდებულებები | 9,504,136 | 20,837,746 | 13,653,847 | 119.25 | 43.66 |
| სულ ვალდებულებები | 9,508,286 | 20,841,896 | 13,657,997 | 119.20 | 43.64 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 13,364,613 | 21,420,376 | 22,202,809 | 60.28 | 66.13 |

საწარმოს მოცემული ბუღალტრული ბალანსი მისი ყველა მუხლის დინამიკას უჩვენებს 2016 წელთან შედარებით. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ კომპანიის აქტივები იზრდება 2016 წელთან შედარებით, ეს მოვლენა შეიძლება დადებითად შეფასდეს ერთი შეხედვით, რადგან ის კომპანიის ლიკვიდურობის ზრდისკენ მიგვიტოთებს, მაგრამ ეს რეალურად სულაც არაა ესე ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რამეთუ 2017 წელს მარაგების ზრდის ტემპი გაცილებით მეტია უფრო ლიკვიდურ, ფულისა და მისი ექვივალენტების, ზრდის ტემპზე. ასე, რომ მთლიანი აქტივების ზრდის მნიშვნელოვანი მიზეზად შესაძლებელი ეს ფაქტი ჩაითვალოს, რაც

ლიკვიდურობას აფერხებს. კომპანიის კაპიტალი 2017 წელს საგრძნობლად იკლებს, რაც არასასურველი მოვლენაა, 2018-ში კი უფრო დიდი პროცენტული მაჩვენებლით ზრდას აფიქსირებს. თუ პარალელს გავავლებთ ვალდებულებებთან კერძოდ კი დავინახავთ, რომ ორივე წელს იზრდება მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაძლებელია ითქვას რომ კაპიტალი დაფინანსებულია ნაწილობრივ ვალდებულებებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმა მომავალში აპირებს საქმიანობის გაგრძელება ის იღებს ვალდებულებებს და ახანდებს ბიზნესში, მომავალში უფრო მეტი მოგების მისაღებად და ბიზნესის მოცულობის ზრდისთვის. ეს ანალიზი გამომდინარეობს იქედან, რომ კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები იზრდება. ასევე მოცემულ ფაქტს ამყარებ ის, რომ კომპანიის ვალდებულებები უკვე 2018 წლის ბოლოსთვის იკლებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანიამ დადებითი შედეგი მიიღო სამეურნეო საქმიანობიდან, რომლებიც სხვა საბალანსო მუხლებიც მეტყველებენ.

ბალანსის ზოგადი ანალიზიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები იმის შესახებ, რომ არის თუ არა კომპანია გადახდის უნარიანი, გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი საშუალებები, როგორი ფინანსური სტაბილურობა აქვს და შეუძლია თუ არა მოცემული სახსრებით შემდგომში ფუნქციონირების გაგრძელება. ასეთი ანუ დადებითი ფინანსური შედეგის ბალანსი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ბალანსის ჯამი უნდა იზრდებოდეს წლის ბოლოსთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესისი აქტივობა იზრდება. ამასთან მისი ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს ინფლაციის ზრდის ტემპს მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს რეალიზაციის ზრდის ტემპს. 2017 და 2018 წლებში ეს კონკრეტული მაჩვენებელი იზრდება 60%-დან 66%-მდე, რაც კომპანიისთვის დადებითი მოვლენაა.
2. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს ძირითადი საშუალებების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს. 2017 – 2018 წლებში მიმდინარე მოთხოვნები იკლებს 46 და 37 პროცენტამდე, რაც უარყოფითი მოვლენაა ამასთან ძირითადი საშუალებების ზრდის ტემპი მაღალია 87 დან 117მდე მაგრამ მიმდინარე ვალდებულებები იკლებს უფრო დიდი პროცენტით 119 დან 43 პროცენტამდე, რაც ცოტა უჩვეულო სურათს იძლევა.

3. საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი და ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს გრძელვადიანი აქტივების მოცულობას და ზრდის ტემპს. 2017 და 2018 წლებიდან ეს ფაქტი მხოლოდ 2018 წელს ფიქსირდება და დადებითად აისახება კომპანიზე, ხოლო 2017 წელ პირიქით გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპი ბევრად მეტია კაპიტალისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამის ზრდის ტემპზე და უარყოფითი ზეგავლენის მომცემია საწარმოს შედეგებზე.
4. საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს აქტივების ღირებულების 50% ზე ნაკლები. შპს ლიდერფუდის შეთხვევაში ეს მაჩვენებელი სამივე წელს ნაკლებია 50% ზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2016 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი იზრდება და თითქმის 50% უტოლდება 2018 წელს, ეს კი დადებითი ზრდის ტემპია, რაც კომპანიზე სამომავლოდ დადებითად აისახება.
5. სვაჭროდ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მოცულობა და ზრდის ტემპი ერთმანეთისგან დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს. 2016 წელს კრედიტორული დავალიანება 3,030,205 ლარი იყო ხოლო დებიტორული 2,551,782 ლარი. მათშორის ხვაობა შესაძლებელია ნორმალურად ჩავთვალოთ ბიზნესის ასეთი მასშტაბით წამორებისას. შემდეგ წლებთან და მითუმეტეს 2018 წელთან დაკავშირებით იგივეს ვერ ვიტყვით რადგან, აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის დიდი გამსხვავებაა. 2017 წელს კრედიტორული დავალიანება 5,059,863 ლარი დებიტორული დავალიანება 4,217,832 ლარი. 2018 წელს კი როგორც ვთქვით სხვაობა გაიზარდა კრედიტორული დავალიანება 4,704,916 ლარი დებიტორული დავალიანება 8,464,545 ლარი, რაც უარყოფითი პროგნოზის საფუძველია.
6. ბალანსში არ უნდა არსებობდეს დაუფარავი ზარალი, რაც არ ფიქსირდება მოცემული წლების ბალანსში.

ლიკვიდურობის ანალიზისას უნდა გავიანგარიშოთ შემდეგი სახის მაჩვენებლები:

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი
2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი
4. საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი

პირველი კოეფიციენტი ანუ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიაში მოცემულ მომენტში არსებული ფულადი სახსრებით რა რაოდენობის მიმდინარე ვალდებულებების დაფარვაა შესაძლებელი. და გამოითვლება ფორმულით:

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი თანხები / მიმდინარე ვალდებულებები) * 100%.

2016 წელი: $454,072 / 9,504,136 = 4,8\%$

2017 წელი: $549,155 / 12,871,415 = 4,3\%$

2018 წელი: $804,132 / 12,391,357 = 6,5\%$

იდეალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 20%-ზე ნაკები არ უნდა იყოს სამივე წელს კი მაჩვენებლები საკმაოდ დაბალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მიმდინარე ვალდებულებების მხოლოდ დაბალი რაოდენობის დაფარვას შეძლებს კომპანი.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს კომპანიაში არსებული და შემდგომში მისაღები თანხებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს დავფარავთ და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები.

2016 წელი: $3,005,854 / 9,504,136 = 31,6\%$

2017 წელი: $4,766,987 / 12,871,415 = 37\%$

2018 წელი: $9,268,677 / 12,391,357 = 74,8\%$

ეს კოეფიციენტი 100% დან 200%-მდე უნდა მერყეობდეს. შპს ლიდერფუდის შემთხვევაში კი მის მინიმალურ ზღვარზე 100%-ზე დაბალია, რაც იმას გულისხმობს,

რომ არსებული ფულით მოკლევადიანი ვალდებულებებით არ შეუძლია დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს ფაქტი კი ნაკლებად ლიკვიდურს ხდის კომპანიას.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენჯერ მეტია მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე. სხვა სიტყვებით შეიძლება ითქვას: მიმდინარე აქტივებში ჩადებული ფულის რა რაოდენობა მოდის ერთი ლარის მიმდინარე ვალდებულებაზე. ეს კოეფიციენტი ორსა და სამს შორის უნდა თავსდებოდეს. არ არის რეკომენდირებული მისი მაღალი მაჩვენებელი, რაც მეტყველებს იმაზე, რომ წარმოების პროცესი ფერხდება, იზრდება დებიტორული დავალიანებები და მარაგები და საბოლოო ჯამში უარესდება ფინანსური მდოგმარეობა. აღნიშნული კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები.

2016 წელი: $4,775,189 / 9,504,189 = 50,2\%$

2017 წელი: $12,529,671 / 12,871,415 = 97,3\%$

2018 წელი: $11,878,557 / 12,391,357 = 95,9\%$

სამივე წელს კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოეფიციენტის ნორმალურ მდოგმარეობას ის ყველაზე მეტად უახლოვდება მოცემული კოეფიციენტის დიაპაზონს 2017 წელს. არსებული ფაქტი უარყოფითი შედეგის მომტანია.

ასევე მნიშვნელოვან მაჩვენებელს წამოადგენ ფულადი უსაფრთხოების და საბრუნავი საშუალებების მანევრირების მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს თუ რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს საკუთარ საბურნავ სახსრებში. ეს მაჩვენებელი 0 დან 1 მდე მერყეობს და მისი ზრდა დადებითად აისახება კომპანიაზე.

(სსს) მანევრირების კოეფიციენტი = ფულადი საშუალებები / საკუთარი საბრუნავი სახსრები.

2016 წელი: 454,072 / -4,728,947 = -9,6%

2017 წელი: 549,155 / -341,744 = -160,7%

2018 წელი: 804,132 / 512,800 = -156,8%

სამივე წელს და მათ შორის 2017 და 2018 წლებში ძალიან დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება, რაც უარყოფითი მოვლენაა და შესაძლებელია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს.

საწაროს ფინანსური ანალიზის დროს, ასევე შეისწავლება სხვა მაჩვენებლებიც. მაგალითად: საშუალო დღიური ხარჯი, მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, ფულადი უსაფრთხოების კოეფიციენტი, პერმანენტული ლიკვიდურობა, კრიტიკული ლიკვიდურობა.

- ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი = (ფული = ფასიანი ქაღალდები + დებიტორები) / საშუალო დღიური ხარჯები.

მოცემული მაჩვენებელი მიუთითებს თუ რამდენი დღის ფულადი აქტივების მარაგი არსებობს საწარმოში.

საშუალო დღიური ხარჯი გამოითვლება ხრჯები, რომელიც მოცემულია მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გაყოფილი წელიწადის დღეების რიცხვზე.

- მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები / (მიმდინარე ვალდებულებები - მიმდინარე მოთხოვნები)
- პერმანენტული ლიკვიდურობა = (წმინდა მოგება - ამორტიზაცია) / შემოსავალი რეალიზაციიდან
- კრიტიკული ლიკვიდურობა = (ფულადი თანხები + დებტ. დავალ) / (ვადადამდგარი ვალდ. + მოკლევად. ვალდებულებები)

უკანასკნელი კოეფიციენტი 0,7-0,8 დიაპაზონში უნდა მოძრაობდეს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიკვიდურობა და გადახდიუნარიონბა ერთიდა იგივე შინაარსისაა ასევე გადახდიუნარიანობის დონე ლიკვიდურობის კოეფიციენტით იზომება. კომპანიის ლიკვიდურობაზე გავლებას ახდენს მრავალი ფაქტორი: მოთხოვნები, ფულადი თანხები, მატერიალური მარაგები, მიმდინარე

დავალიანებები, საქმიანობის აქტივობის მაჩვენებლები და სხვა. იმის გასარკვევად საანალიზო პერიოდში რომელი ლიკვიდურობის კოეფიციენტზე რა გავლენით ზემოქმედებს ამათუ იმ ცვლადის ცვლილება ვიყენებთ კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტებს.

საწარმოს თავის ბიზნესის დასაფინანსებლად შეიძლება ჰონდეს საკუთარი სახსრები ან მოზიდული სესხების და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. საკუთარი და მოზიდული კაპიტალის სტრუქტურა და მათი თანაფარდობა საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მეტყველებს და ამ კოეფიციენტის ზრდა დადებითი მოვლენაა.

- საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი=
საკუთარი კაპიტალი/ მოზიდულ კაპიტალთან.

2016 წელი: $54,480 / 9,504,136 = 0,57\%$

2017 წელი: $8,544,812 / 12,871,415 = 66,39\%$

2018 წელი: $11,898,296 / 12,391,357 = 96,02\%$

ზემოთ მოყვანილი კოეფიციენტის ზრდა დადებითი მოვლენაა, რომელიც დაფიქსირდა 2017-2018 წლებში, ის მაინც მინიმალუჯრი ზღვრის ქვემოთ იმყოფება და 100% მდე ვერ მიაღწია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის რა წილია აქტივებში. ეს კოეფიციენტი 0,5-ს არ უნდა ჩამოცდეს ნორმალური პირობებში. დასავლეთის ქვეყნებში მისის ოპტიმალური სიდიდე 60% -ია.

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი
/ აქტივების ჯამი

2016 წელი: $54,480 / 9,562,766 = 0,57\%$

2017 წელი: $5,544,812 / 21,420,377 = 39,89$

2018წელი: $11,898,296 / 24,293,803 = 48,98$

პირველ წელს ძალიან დაბალი მაჩვენებელია შემდეგ წლებში კი იზრდება, მაგრამ 50%-იან ზღვარს ვერ სცდება. ის ვერ აღწევს 60%-მდე, მაგრამ იაპონიაში მიჩნეულ ნორმას 20%-ს აჭარბებს 2ჯერ და მეტად.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის შეზღუდვებული მაჩვენებელია საწარმოს ფინანსური დამოკიდებულების მაჩვენებელი. კარგია თუ ის ერთს უტოლდება ის ამავე დროს ფინანსური ლევერეჯის მაჩვენებელიცაა და მიზი ზრდა რისკების ზრდასაც მოასწავებს.

- ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი = აქტივების ჯამი / საკუთარ კაპიტალთან.

2016 წელი: $9,562,766 / 54,480 = 175,53\%$

2017 წელი: $21,420,377 / 8,544,812 = 2,51\%$

2018 წელი: $24,293,803 / 11,898,296 = 2,04\%$

ბოლო წელს მაჩვენებლები 1_ს უახლოვდება რაც დადებითი ტენდენციაა, მაგრამ კიდევ ბევრია საჭირო უფრო სტაბილური მდგომარეობის მისაღებად.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მის სტაბილურობას ახასიათებს მისი აბსოლუტური მაჩვენებლები. გამოყოფენ ძირითდად ფინანსური სტაბილურობის ოთხ ტიპს აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, არასტაბილური მდგომარეობა და კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა. გავანალიზოთ თითოეული მათგანი.

აბსოლუტური ფინანსურს ფინანსურ სტაბილურობას გამოხატავს შემდეგი უტოლობა:

✓ მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე

2016 წელი: $1,425,739 > -4,729,947$

2017 წელი: $6,775,990 > -341,744$

2018 წელი: 2,508,226 > -512,810

საწარმომ საკუთარი საბრუნავი საშუალებებით მარაგების 50% მაინც უნდა დაფაროს შპს ლიდერფუდის შემთხვევაში კი არსებული მაჩვენებელი ძალიან დაბალია, რაც აბსოლუტურ ფინანსურ სტაბილურობას თავისთავად ვერ გამოხატავს.

ნორმალური ფინანსური სტაბილურობის დროს კი უნდა შედგეს შემდეგი უტოლობა.

- ✓ საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალურ მარაგებზე < მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროებზე.

არასტაბილური ფინანსური მდგომარეობაა:

- ✓ მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების ნორმალური წყაროები.

კრიტიკული სიტუაციის დროს კი საწარმოს გააჩნია მესამე ტიპის უტოლობასთან ერთად გადაუხდელი ვალდებულებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები.

3. მიმდინარე აქტივების ბრუნვადიბის ანალიზი

ფირმის სამეურნეო საქმიანობის შეფასების ერთ-ერთ ღირებულ მაჩვენებელს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის მაჩვენებლები, რომლითაც გვეძლევა საშუალება დავადგინოთ თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საწარმო თავის ავანსირებულ კაპიტალს, რაც ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია. სამეურნეო საქმიანობის აქტიურობის ცნება ნიშნავს წინასწარ გაწეული ანუ ბიზნესში ავანსირებული სახსრების გამოყენების ტემპს და სიჩქარეს.

შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საწარმოს მომარაგების, წარმოების და ამას დამატებული რეალიზაციის პროცესების უწყვეტი მიმდინარეობა. ამ ჯაჭვის უწყვეტი არსებობისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს საწარმოში ნედლეულისა და მასალების მარაგები, მზა პროდუქციის საწყობში მზა პროდუქციის გარკვეული რაოდენობა მარაგის სახით, ასევე კომპანიის საბანკო

ანგარიშებზე საკმარისად საჭირო ფულადი საშუალებების ნაშთი. ამრიგად საწარმოს საქმიანობის ანალიზი ძირითადად ორი მიმართულებით განიხილება:

1. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, აქტივების და კაპიტალის ბრუნვალობა
2. მოგების, შემოსავლების და ავანსირებული კაპიტალის ტემპების თანაფარდობა.

განვიხილოთ შიგა ფაქტორები და გარე ფაქტორები, რომლებიც აქტივების ბრუნვალობაზე ახდენს გავლენას. შიგა ფაქტორები: აქტივების სტრუქტურა, ფასთა პოლიტიკა, მარაგების შეფასების მეთოდი. გარეგან ეფექტად მიიშნევა: დარგი, რომელშიდაც საწარმო ფუნქციონირებს, ასევე საქმიანობის სფერო, საწარმოს მასშტაბი, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია. საწარმოს საქმიანობის აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლებია მიმდინარე აქტივები ბრუნვალობის კოეფიციენტები:

1. ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის საერთო მაჩვენებლები
2. ავანსირებული ღირებულების ბრუნვალობის კერძო მაჩვენებლები
3. ფულის ბრუნვალობის მაჩვენებლები

როდესაც საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი იზრდება, მის მიერ რეალიზაციიდან შემოსული თანხების მოცულობა უფრო მეტად ზრდადია ვიდრე ავანსირებული კაპიტალი, მოგების ზრდის ტემპი მაღალია ხარჯების შემცირების ტემპზე და საერთო ჯამში სამეურნეო საქმიანობა ხასიათდება დადებითი შედეგით.

✓ წლიური მოგების ტემპი > რეალიზაციის ტემპზე > სულ ავანსირებული კაპიტალის ტემპი > 100%

ამ პირობებს ეწოდება საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესი!

შპს ლიდერფუდის 2016-2018 წლების ეკონომიკური პოტენციალი:

| | 2016 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2018 წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის ცვლილება(%) | 2018 წლის ცვლილება(%) |
|-------------------------------|------------------------|------------------------|------------------------|-----------------------|-----------------------|
| წლიური (ან საოპერაციო) მოგება | 3638186 | 9570097 | 5144695 | 163.05 | 41.41 |
| რეალიზაცია | 32771872 | 38357324 | 45264510 | 17.04 | 38.12 |
| ბალანსის ჯამი | 9,562,766 | 21420377 | 24293803 | 124.00 | 154.05 |

2017 წელი : $163,05 > 17,04 < 124 > 100\%$ დარღვეულია ოქროს წესი

2018 წელი: $41,41 > 38,12 < 154,05 > 100\%$ ამ წელსაც დარღვეულია ოქროს წესი

არსებობს ბრუნვადობის სამი ტიპის მაჩვენებელი :

1. ბრუნვის რიცხვი - ეს მაჩვენებელი მიგვანიშნებს თუ რამდენჯერ შემობრუნდა ავანსირებული ღირებულება წელიწადში
2. ბრუნვის პერიოდი დღეებში - ამ მაჩვენებლით იზომება რამდენი დღე ჭირდება ავანსირებული ღირებულების შემობრუნებას
3. დამაგრების ანუ დაყოფის კოეფიციენტი - ეს კოეფიციენტი უზრუნველყოფს რამდენი ლარის ავანსირებული ღირებულება უნდა იყოს კომპანიაში დაბანდებული, რომ საწარმომ უზრუნველყოს ერთი ლარის შემოსავლის მიღება.

ასევე გამოყოფენ ბრუნვადობის საერთო და კერძო მაჩვენებლებს.

ბრუნვადობის ზოგადი მაჩვენებლებია:

1. ბრუნვის რიცხვი ჯერებში.
2. ბრუნვის პერიოდი დღეებში
3. დამაგრების კოეფიციენტი

ბრუნვის რიცხვი ჯერებში აჩვენებს, თუ რამდენჯერ შემობრუნდა მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულება წლის მანძილზე.

- ✓ ბრუნვის რიცხვი ჯერებში = წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან / მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი ან $365 /$ ერთი ბრუნვის პერიოდი დღეებში.

ბრუნვის პერიოდი დღეებში აჩვენებს თუ რამდენი დღე არის საჭირო ავანსირებული ღირებულების ერთ შემობრუნებაზე. გამოითვლება :

- ✓ ბრუნვის პერიოდი დღეებში = მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი * $365 /$ წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან ან 365 დღე / ბრუნვის რიცხვი.

დამაგრების კოეფიციენტი კი აჩვენებს, მიმდინარე აქტივებში რამდენი ლარი იყო დაბანდებული , რომ მიგვეღო ერთი ლარის შემოსავალი.

- ✓ დამაგრების კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი / წლიური შემოსავალი რეაზლიზაციიდან ან
- ✓ დამაგრების კოეფიციენტი = (მასალის ნაშთი + დაუმთავრებ.პროდ.ნაშთ + მზა პროდუქ.ნაშთ + დებიტ.დავლ.ნაშთ) / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან.

2016 წელი: $4,321,117 / 32,771,872 = 0,13$

2017 წელი: $11,980,515 / 38,357,324 = 0,31$

2018 წელი: $11,074,425 / 45,264,510 = 0,24$

მაჩვენებელი 2016 – 2017 წლებში გაიზარდა ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიამ უფრო მეტი ლარი დააბანდა მიმდინარე აქტივებში ერთი ლარის რეალიზაციის მიღების უზრუნველსაყოფად რაც არასასურველი მოვლენაა, მაგრამ შემდეგ წელს ეს კოეფიციენტი უმჯობესდება და 0,24 მდე ჩამოდის.

საბრუნავი კაპიტალის ბრუნვაობის კერძო მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

1. ნედლეულისა და მასალების ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი
2. დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი და ბრუნვის რიცხვი
3. მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი დამისი ბრუნვის რიცხვი
4. დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდი და მისი ბრუნვის რიცხვი

საწამო მასალებისა და ნედლეულის ბრუნვის რიცხვი აჩვენებს, მასალებში დაბანდებული ღირებულება რამდენ დღეში გადაიქცევა დანახარჯად.

- ✓ ნედლეულისა და მასალების ბრუნვის პერიოდი = მასალების საშუალო წლიური ნაშთი*365 / მატერიალური დანახარჯები.

დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი აჩვენებს თუ რამდენი დღე არის საჭირო, რომ დაუმთავრებელი პროდუქცია გადაიქცეს მზა პროდუქციად.

- ✓ დაუმთავრებელი პროდუქციის ბრუნვის პერიოდი = დაუმთავრებელი წარმოების საშუ. წლი. ნაშთი*365 / მზა პროდუქციის თვითღირებულება.

მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი აჩვენებს თუ რამდენ ხანში გადაიქცევა მზა პროდუქციაში არსებული ავანსირებული ღირებულება ფულად.

- ✓ მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი = მზა პროდუქციის საშ, ნაშთ*365 / რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი მიუთითებს თუ რამდენი დღე არის საჭირო, რომ დებიტორებიდან საწარმომ ფული ამოიღოს. მოცემული მაჩვენებლით გამოითვლება ინკასაციის რიცხვი შემოსავალი შეფარდებული დებიტორული დავალიანების ნაშთთან.

- ✓ დებიტორული დავალიანებების ბრუნვის პერიოდი ტოლია = დებტ.დავ.საშ.ნაშთ*365 / შემოსავალი რეალიზაციიდან.

კერძო მაჩვენებლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, რომ გამოვავლინოთ ავსსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლებზე მოქმედი ფაქტორები.

საინტერესოა დამაგრების კოეფიციენტის განხილვა.

- ✓ დამაგრების კოეფიციენტი = (მასალების ნაშთი + დაუმთ.პროდ.ნაშთ+მზა პროდ.ნაშთ +დებტ.დავ.ნაშ) / წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან.

ეს კოეფიციენტი უჩვენებს თუ რა მიმდინარე აქტივების ღირებულება იყო მუდმივად ბრუნვაში ერთი ლარი რეალიზაციის მისაღებად. კოეფიციენტის ზრდა კი რათქმუნდა უარყოფითი მოვლენაა.

მნიშვნელოვანი საკითხია მიმდინარე აქტივების ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი:

1. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვის კოეფიციენტი.
2. წარმოების და რეალიზაციის პროცესების ორგანიზაციული მართვა
3. მასალების და მზა პროდუქციის ხარისხიანობა
4. მზა პროდუქციის საბაზრო პოზიციები

ორგანიზაცია ფინანსური სირთულეების წინაშე დგას თუ ფულადი საშუალებების წილი მცირდება მიმდინარე აქტივებში და ამავე დროს მიმდინარე ვალდებულებები იზრდება. ამ პრობლემის მოსაგვარებლად უპირველეს ყოვლისა საჭიროა ფულადი საშუალებების ანალიზი ფულადი ნაკადების შემოდინება, გადინება და მისი გამომუშავების უნარი. საკმარისი ფულადი საშუალებების არ არსებობა საწარმოს

ხარჯების დაფარვის რისკის ქვეშ აყენებს. ხოლო მათი ზედმეტობა მიანიშნებს, რომ საწარმო სარგებელს ხელიდან უშვებს მათი გამოუყენებლობიდან გამომდინარე. ანალიზის მიზანს წამოადგენს ფულადი საშუალებების შემოდინების, სიჭარბის და ნაკლებობის მიზეზების დადგენა. ფულადი სახსრების ნაკადების ანალიზის ძირითადი წყაროა ფულადი საშუალებების მოძრაობის ცხრილი(ქეშფლოუ). მისი დახმარებით ხორციელდება საწარმოს გადახდისუნარიანობის კონტროლი, ფულადი სახსრების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, თუ რატომ ვერ ემთხვევა ერთმანეთს ფულადი სახსრების ცვლილება და ფინანსური შედეგები. ფულადი სახსრების ანგარიშგება შედგება სამი ნაწილისაგან: საოპერაციო. საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად საშუალებებად.

II თავი - კომპანიის განვითარების სტრატეგიის ანალიზი

1. შემოსავლების და ხარჯების ბიუჯეტის ანალიზი.

სიტყავ ბიუჯეტი მომდინარეობს ძველი ნორმანდიულიდან და საფულეს ნიშნავს. იგი განსაზღვრავს ბიზნესის, ორგანიზაციის, ოჯახის, პირის, სახელმწიფოს შემოსავლებს და გასავლებს, რომელიც გაწეულია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, ზოგადა მიღებულია ერთი წლის ანალიზი ამ კუთხით. შემოსავლის ნაწილის განსაზღვრისას მთავარია არ გამოგვრჩეს ყველა ის წყარო რომლიდანაც ბიზნესი შემოსავალს იღებს. თუ არსებობს ბიზნესში რაიმე უმოქმედო აქტივები ის აუცილებლად უნდა გაიცეს იჯარით ან თუ სარგებლის მოტანა არ შეუძლია უნდა გაიყიდოს მისგან მიღებული ფული კი უნდა ჩაეშვას ისევ წარმოებაში რეინვესტირების მიზნით. შემოსავლის ორ ნაწილად ყოფენ: ამონაგები და შემოსულობა. ამონაგები მიიღება საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობიდან და მისი შეფასება ხდება მისაღები ან მიღებული თანხის ღირებულებით. შემოსულობა კი აღნიშნავს თანხას მის გაყიდვასთან დაკავშირებული თანხების გამოკლებით ანუ ნეტო თანხა. ამონაგებს მიეკუთვნება: შემოსავალი რეალიზაციიდან, მისაღები საიჯარო

ქირა, როიალტი, მისაღები პროცენტები, დივიდენდები, მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი. დანარჩენი სხვა კი იდენტიფიცირდება, როგორც შემოსულობა.

ხარჯები ერთობ მნიშვნელოვანი საკითხია ბიუჯეტირებისას, რადგან ის ბიუჯეტის გასავლის ნაწილია. ხელმძღვანელობა დაინტერესებულია მათ ხელთ არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენებით, აქედან გამომდინარე ისენი მუდმივ რეჟიმში აკონტროლებენ მათი ხარჯვის მიზნობრიობას და ამასთან გეგმავენ მომავალში გასაწევი ხარჯების რაოდენობას მმართველობითი აღრიცხვის დახმარებით. მმართველობით აღრიცხვა დანახარჯების კლასიფიკაციას ახდენს მათი უკეთ მოწესრიგებისათვის. კლასიფიკაცია ნიშნავს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ერთგვაროვანი ხარჯების ლოგიკური დაჯგუფებას. დანახარჯები დღევანდელ პრაქტიკაში კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. ხარჯვის მიმართულების მიხედვით.
2. საქმიანობის სფეროების მიხედვით.
3. ეკონომიკური ელემენტების მიხედვით.
4. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.
5. ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.
6. პროდუქციის თვითღირებულებისადმი დამოკიდებულების მიხედვით.
7. ცალკეული სახის პროდუქციის თვითღირებულებაზე მიკუთვნების წესის მიხედვით.
8. პროდუქციის მოცულობაზე დამოკიდებულების მიხედვით
9. გადაწყვეტილების მიღებაზე დამოკიდებულების მიხედვით
10. საქმიანობის შეცვლაზე დამოკიდებულების მიხედვით
11. პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით
12. პერიოდულობის მიხედვით.

ხარჯვის მიმართულების მიხედვით არსებობს შემავალი და გამავალი ხარჯები. შემავალ ის ხარჯია, რომელიც ნედლეულის და მასალების შესყიდვაზე იქნა გაწეული. გამავალი კი ის ხარჯია რომელიც განივთდა უკვე მზა პროდუქციაში და მეორედ წამოებაში ვეღარ გამოვიყენებთ.

საქმიანობის სფეროს მიხედვით ხარჯები იყოფა საოპერაციო და არასაოპერაციო დანახარჯებად. საოპერაციოა ის ხარჯები, რომლებიც საწარმომ მის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებით გაწია, ხოლო არასაოპერაციოა ის ხარჯები, რომლებიც საწარმოს დამხმარე საქმიანობაზე გაიწია.

ეკონომიკური და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია პასუხობს შემდეგ კითხვებს: რა დაიხარჯა და რამდენი? და შესაბამისად სად დაიხარჯა და რამდენი?

საოპერაციო ხარჯები მათი ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე იყოფა ძირითად და ზედნადებ ხარჯებად. ის ხარჯები, რომლებიც პროდუქციის დამზადებაში იღებენ უშუალოდ მონაწილეობას კლასიფიცირდება ძირითად ხარჯებად, ხოლო ზედნადები ხარჯები წარმოების, მართვისა და მომსახურების ხარჯებია ეს უკანსკნელი ორ ჯგუფად იყოფა:

1. საწარმოო ზედნადები ხარჯები
2. არასაწარმოო ზედნადები ხარჯები

საწარმოო ის ზედნადები ხარჯია, რომელიც უშუალოდ პროდუქციის დამზადების პროცესში მართვაზე და მომსახურებაზე იხარჯება ისენი: ცვეთის ხარჯი, განყოფილებების ხელმძღვანელების ხელფასის ხარჯი და ა.შ.

არასაწარმოო ზედნადები ხარჯებია საწაროს საერთო დანიშნულები ხარჯები: საერთო - ადმინისტრაციული და მარკეტინგის ხარჯები.

წარმოების დანახარჯებს ეკონომიკური თვალსაზრისის მიხედვით აჯგუფებენ ერთგვაროვანი ხარჯების მიხედვით: ნახევარფაბრიკატების და მაკომპლექტებელი ნაწარმის ხარჯი, მასალის ხარჯი, შრომის ხარჯი, ცვეთის ხარჯი და ა.შ.

დანახარჯთა ეკონომიკური ელემენტები პასუხობს კითხვებზე, თუ საწარმოში მოცემული სახის ხარჯი სულ რა რაოდენობით გაიწია.

შპს ლიდეფუდის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები 2016 – 2018 წლებში გაიზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიის წყაროების მასშტაბები იზრდება და ბიზნესი ფართოვდება.

წარმოების მოცულობის ცვლილებაზე დამოკიდებულების მიხედვით ასეობს შემდეგი სახის ხარჯები:

1. ცვლადი ხარჯები.
2. მუდმივი ხარჯები
3. ნახევარცვლადი ხარჯები
4. საფეხურებრივად ცვლადი ხარჯები

ცვლადი ხარჯები ის ხარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის სიდიდესთან ერთად იცვლება:

1. პირდაპირი მასალის ხარჯი.
2. პირდაპირი შრომითი ხარჯი

მუდმივი ის დანახარჯებია, რომელთა საერთო სიდიდე არ იცვლება წარმოებული პროდუქციის ზრდასთან ერთად მაგალითად იჯარის ხარჯი. ნახევარცვლადი დანახარჯებია ის დანახარჯები რომლებიც მოიხავეს, როგორც მუდმივ ისე ცვლად ხარჯებს. საფეხურებრივად ცვლილია ის ხარჯებია, რომლებიც წარმოების ერთ დიაპაზონში მუდმივია, მაგრამ როგორც კი წარმოების მოცულობა გასცდება კონკრეტულ ზღვარს ეს ხარჯები ერთი საფეხურით გაიზრდება და შემდგომ დიაპაზონის გარღვევამდე მუდმივ სახეს ინარჩუნებს.

გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით განასხვავებენ რელევანტურ და არა რელევანტურ ხარჯებს. რელევანტურია ის დანახარჯი, რომელიც შეიცვლება გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ხოლო არარელევანტური ხარჯი გადაწყვეტილებებზე არ არის დამოკიდებული.

საქმიანობის სფეროების მიხედვით, შემოსავლები ჯგუფდება საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად. ისეთ შემოსავლებს ეწოდება საოპერაციო შემოსავლები, რომლებიც საწარმოს მაკროფილებში საქმიანობიდან მიიღება. არასაოპერაციო კი ისე შემოსავლებია, რომელიც საწარმოს დამხმარე საქმიანობიდან მიიღება.

შპს ლიდერფუდის სრული შემოსავლების ანგარიშგება 2016 – 2018 წლებში და დინამიკა 2016 წელთან შედარებით.

| | 2016 წელი | 2017 წელი | 2018 წელი | 2017 წელი(ცვლილება) | 2018 წელი(ცვლილება) |
|---|-------------------|-------------------|-------------------|---------------------|---------------------|
| შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან | 32,771,872 | 38,357,324 | 45,264,510 | 17.04 | 38.12 |
| სხვა საოპერაციოშემოსავალი | 181,257 | 63,972 | 2,314 | -64.71 | -98.72 |
| <u>სულ</u> | <u>32,953,129</u> | <u>38,421,296</u> | <u>45,266,824</u> | 16.59 | 37.37 |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 20,781,009 | 17,161,938 | 27,295,624 | -17.42 | 31.35 |
| <u>საერთო მოგება</u> | <u>12,172,120</u> | <u>21,259,358</u> | <u>17,971,200</u> | 74.66 | 47.64 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 2,776,025 | 5,194,003 | 3,279,908 | 87.10 | 18.15 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 366,101 | 682,933 | 1,169,831 | 86.54 | 219.54 |
| შრომის ანაზღაურება | 4,308,358 | 5,284,048 | 7,042,705 | 22.65 | 63.47 |
| კომუნალური ხარჯები | 387,121 | 482,294 | 697,263 | 24.58 | 80.12 |
| სხვა საერთო ხარჯები | | | 22,337 | | 100.00 |
| <u>სულ</u> | <u>28,618,614</u> | <u>28,805,216</u> | <u>39,507,668</u> | 0.65 | 38.05 |
| <u>საოპერაციო მოგება / (ზარალი)</u> | <u>4,334,515</u> | <u>9,616,080</u> | <u>5,759,156</u> | 121.85 | 32.87 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 179,626 | 233,004 | 462,419 | 29.72 | 157.43 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 192,906 | 236,102 | 70,081 | 22.39 | -63.67 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან | 709,609 | 49,081 | 222,123 | -93.08 | -68.70 |
| <u>მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე</u> | <u>3,638,186</u> | <u>9,570,097</u> | <u>5,144,695</u> | 163.05 | 41.41 |
| მოგების გადასახადი - | 0 | 0 | 0 | | |
| <u>წმინდა მოგება</u> | <u>3,638,186</u> | <u>9,570,097</u> | <u>5,144,695</u> | 163.05 | 41.41 |

მოგების მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი კეთდება მოცემული პერიოდის მოგება/ზარალის ინფორმაციის საფუძველზე. რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპი ნაკლები უნდა იყო საოპერაციო მოგების ზრდის ტემპზე, რადგან

საპირისპირო შემთხვევაში ადგილი ექნება არასაწამო (ადმინსტრაციული და მარკეტინგული) ხარჯების არაეფექტიანად გამოყენებას. 2017 წელს საერთო მოგების ზრდის ტემპი 74,66%-ია რაც ნაკლებია ამავე პერიოდის საპერაციო მოგების ზრდის ტემპზე რომელიც 121,85%-ია მეორე წელს კი ვითარება რადიკალურად იცვლება უარყოფითისკენ, კერძოდ საერთო მოგების ზრდის ტემპი მეტია საოპერაციო მოგების ზრდის ტემპზე ($47.64 > 32.87$) და აგილი აქვს არასაწამო დანახარჯების არაეფექტურ გამოყენებას. იქედან გამომდინარე, საერთო მოგების ზრდის ტემპი 2017წელი(74,66) პირველ წელს ნაკლებია დასაბეგრი მოგების ზრდის ტემპზე 2017 წელი(163,05) იმას ნიშნავს, რომ საწამომ მიაღწია ხარჯების ეკონომიას, ხოლო შემდეგ წელს საპირისპირო შედეგია საერთო მოგების პროცენტული ცვლილება 47,64 მეტია სარეთო მოგების პროცენტულ ცვლილებაზე 41,41-ზე, რაც იმას გამოხატავს, რომ საწამომ ვერ გასწია ხარჯების ეკონომია და არც სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები არ გაზრდილა.

სანამ საწარმოს მენეჯმენტი ფუნქციურ ჯგუფებს შორის რესურსებს გადაანაწილებდეს მანამდე აუცილებელია ბიუჯეტის სწორად განსაზღვრა, რადგან საკმარისი რესურსების უქონლობა შეუძლებელს ხდის კომპანიამ მიაღწიოს დასახულ მიზანს და სისრულეში მოიყვანოს ჩანაფიქრები. ბიუჯეტი რაოდენობრივად განაწილებული რესურსების სურათს წარმოადგენს, ამასთან რაოდენობრივად ჩამოყალიბებულ მიზნების ჩამონათვალს. კომპანიის რესურსების რაციონალურად განაწილება უმნიშვნელოვანესი საკითხია და მას დიდი ყურადღება ეთმობა ნებისმიერ ორგანიზაციაში.

მენეჯერებმა, რომლებიც პასუხს აგებენ ბიუჯეტი შედგენაზე, უნდა შეისწავლონ განყოფილებების მოთხოვნები შრომის რესურსებთან, ფინანსებთან, დანადგარებთან და სხვა იმ კომპონენტებთან დაავშირებით, რაც აუცილებელია კომპანიის მიერ დასახული სტრატეგიების სისრულეში მოსაყვანად.

კომპანიის მოგება წამოადგენს სხვაობას მთლიან შემოსავალსა და მთლიან ხარჯებს შორის. რაც მეტ მომგებიან პროდუქტს ყიდის საწარმო მით მეტად მომგებიანია მისი საქმიანობა. მოგების მისაღებად მეწარმემ რაციონალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები. ეფექტიანი წარმოების მიღწევა

გულისხმობს არა იმას, რომ მეწარმეს არ ქონდეს დანახარჯები არამედ იმას, რომ მისი შემოსავლები აღემატებოდეს ხარჯებს. მოგებისა და მომგებიანობის ანალიზის მიზანია საწარმოს მომგებიანობის დონის შეფასება და მომავალში მისი გაუმჯობესება. გამოყოფენ მოგების შემდეგ მაჩვენებლებს:

1. მოგება რეალიზაციიდან
2. საოპერაციო მოგება
3. მოგება დაბეგვრამდე
4. წლიური მოგება
5. გაუნაწილებელი და რეინვესტირებული მოგება

მოგება არის ეკონომიკური საქმიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი ვერ ახასიათებს წინა პერიოდთან შედარებით ეფექტურობის რეალურ ზრდას. ამიტომ ფინანსისტები იყენებენ მომგებიანობას ე.წ ფარდობით მაჩვენებელს. იგი ახასიათებს მომგებიანობის პროცენტულ ზრდას და ხარისხობრივი მაჩვენებელია.

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად იყოფა:

1. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებელი
2. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებელი
3. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებელი

ანალიზის შემდეგ საფეხურზე ხდება წმინდა მოგების ელემენტების: შემოსავლების და ხარჯების სტრუქტურის შესწავლა. შემოსავლების ზრდა იმავე თანხით ზრდის მოსალოდნელ მოგებას. ხოლო, ხარჯების ზრდა, იმავე თანხით ამცირებს მოგებას. შესაძლებელია გავანალიზოთ დანახარჯები მოგების ერთ ლარზე, რის შედეგადაც გამოვავლენთ რომელი სახის რესურსის გამოყენება ზრდის ან ამცირებს მოგებას წინა წელთან ან გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამ კოეფიციენტს ხარჯტევადობის კოეფიციენტი ეწოდება.

მოგების ხარჯტევადობა = წლიური ხარჯები / მოგება დაბეგვრამდე

ანუ

მოგების ხარჯტევადობა = (მატერიალ.ხარჯ + შრომით.ხარჯ + ცვეთა)/მოგება დაბეგვრამდე.

2016 – 2018 წლები მოგების ხარჯტევადობა

| | 2016 წელი | 2017 წელი | 2018 წელი |
|---|------------|------------|------------|
| საოპერაციო ხარჯები | 28,618,614 | 28,805,216 | 39,507,668 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | 179,626 | 233,004 | 462,419 |
| სულ ხარჯები | 28,798,240 | 29,038,220 | 39,970,087 |
| მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე | 3,638,186 | 9,570,097 | 5,144,695 |
| მოგების ხარჯტევადობა = სულ ხარჯები/მოგება დაბეგვრამდე | 7.916 | 3.034 | 7.769 |

აღნიშნულ ცხრილში ხარჯტევადობის კოეფიციენტები კარგად გვაჩვენებენ თუ რამდენი ლარის ხარჯის გაწევას საჭირო ერთი ლარი დაუბეგრავი მოგების მისაღებად. შეფარდების მრიცხველი შესაძლებელია გავშაროთ და გავიგოთ თუ რომელმა ხარჯმა მეტად იმოქმედა საეთო შედეგზე და შევიმუშაოთ ღონისძიებები შემდგომ პერიოდში დანახარჯების შემცირების, რაც მოგებას გაზრდის საბოლოო ჯამში. შპს ლიდერფულში 2017 წელს დაფიქსირდა დაბალი ხარჯტევადობის მაჩვენებელი რაც დადებითი მოვლენაა, მაგრამ ვხედავთ, რომ კომპანიამ ვერ განაგრძო ხარჯების ეფექტურად გამოყენება რამაც გაზარდა 2018 წლის მაჩვენებელი 7,769_მდე. კომპანიის მენეჯმენტმა აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს აღნიშნულ მაჩვენებელს სასურველი მოგების მიღების მიზნით.

3. საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი

ინვესტიცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ინვესტიციი სხვადასხვა განმარტებები არსებობს: ფულის განშორება დღეს მომავალში მეტის მიღების მიზნით, დანაზოგის გამოყენება ძველის აღსადგენად და ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის მიზნით. ინვესტიცია ხელის შემოწყობი ფაქტორია საწარმოს ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციისთვის, ასევე წარმოების ეფექტიანობის შემდგომში ამაღლების ხელშემწყობი. ინვესტიცია არ არის ქტივი, რომელსაც ფლობს საწარმო სიმდიდრის გასაზრდელად და შემოსავლის - პროცენტების, დივიდენდების, როიალტების და საიჯარო ქირის მისაღებად. ინვესტიცია შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად, იგი არის თანხა, რომელიც ჩადებული ან დაბანდებულია სხვადასხვა ფასიან ქალაქებში, გაცემულია სესხის ან იჯარის სახით.

ზოგადად ინვესტიციის ეფექტი დამოკიდებულია საინვესტიციო ინსტრუმენტების სწორად შერჩევაზე. ინვესტირების მთავარი პერსონაჟი ყოველთვის ინვესტორია. იგი არის ფიზიკური პირი ან კომპანია, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს, იმის შესახებ თუ ბიზნესის რომელ სფეროში რა ინვესტიციები განახორციელოს. ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ ბიზნესის სტრატეგიებზე და შესაბამისად ინვესტირების სხვადასხვა სახე ჩამოყალიბდა.

ინვესტიციის სახეები საინვესტიციო ობიექტების მიხედვით:

1. რეალური ინვესტირება - გრძელვადიანი დაბანდებები რეალურ სექტორებში (მიწათმფლობელობა, უძრავი ქონება, მანქანა და - დანადგარები, ნედლეული და მარაგები)
2. ფინანსური ინვესტიციები - ეს არის ფასიანი ქაღალდების შეძენა ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება. ინვესტიციების ამ ფორმას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - მოგების მიღება.

ინვესტიციის სახეები - საინვესტიციო პროცესებში მონაწილეების მიხედვით:

1. პირდაპირი ინვესტირება - ამ დროს ინვესტორი დამოუკიდებლად ირჩევს ინვესტიციების ობიექტს, აფასებს რისკებს და ყველა მასზე დაკისრებულ გადაწყვეტილებას.
2. შიდა ინვესტირება - ეს ნიშნავს საკუთარი აქტივების საკუთარ ბიზნესში ინვესტირებას.
3. გარე ინვესტირება - ამდროს მესამე მხარე ეწევა ინვესტირებას თქვენს ბიზნესში.

ინვესტირების სახეები დროის კრიტერიუმების მიხედვით:

1. მოკლევადიანი ინვესტირება - ხასიათდება მოკლე პერიოდიანი ინვესტირებით ერთი წლის ვადით.
2. გრძელვადიანი ინვესტირება - ხასიათდება ინვესტირებით, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნით გრძელდება.

ინვესტირების სახეები - შემოსავლების დონის მიხედვით:

1. უშემოსავლო ინვესტირება - ამ დროს შემოსავლი არ არის ინვესტიციის მიზანი, ეს უფრო დადებითი სოციალური, ეკოლოგიური ან სხვა ეფექტის მიღებას ემსახურება
2. დაბალშემოსავლიანი ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომელთა სავარაუდო შემოსავლის დონე საშუალოზე დაბალია
3. საშუალო შემოსავლის ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომელთა სავარაუდო შემოსავლის დონე საშუალო საინვესტიციო მოგების ნორმის ტოლია.
4. მაღალშემოსავლიანი ინვესტირება - ინვესტირება ისეთ ობიექტებში რომლებსგანაც მისაღები შემოსავალი გაცილებით მეტია საინვესტიციო მოგებაზე.

ინვესტიციი სახეები - რისკის დონის მიხედვით:

1. ინვესტიცია რისკის გარეშე - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომლებიც არ გულისხმობს ჩადებული სახსრების რისკს.
2. დაბალ რისკიანი ინვესტიცია - ინვესტირება ისეთ ობიექტებში , სადაც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი დაბალია.
3. საშუალო რისკიანი ინვესტიცია - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომელშიც ჩადებული საშუალებების დაკარგვის რისკი საშუალო დონისაა
4. მაღალ რისკიანი ინვესტიციები - ინვესტირება ისეთ ობიექტებში, რომელშიც ჩადებული სახსრების დაკარგვის რისკი საშუალოზე დაბალი დონისაა

ინვესტიციების სახეები - ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით:

1. მაღალ ლიკვიდური ინვესტიცია - ამ დროს ინვესტიცია საშუალოდ ერთ თვეში გადაიქმნება ფულად ზედმეტი დანაკრებების გარეშე
2. საშუალო ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია - მოცემული ინვესტიცია 1 დან 6 თვიან პერიოდში გარდაიქმნება ფულად
3. დაბალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიცია - ინვესტიციას, რომელსაც სარეალიზაციოდ დიდი დრო სჭირდება.

4. არა ლიკვიდური ინვესტიცია - რომლის რეალიზებას ინვესტორი დამოუკიდებლად ვერ შეძლებას.

ინვესტიციის სახეები საკუთრების ფორმის მიხედვით:

1. კენძო ინვესტიცია - ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ განხორციელებული
2. სახელმწიფო ინვესტიცია - სახემწიფო ინსტრუმენტების მიერ ან სახემწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ინვესტიცია
3. შერეული ინვესტიცია - სახელმწიფო და კერძო პირის მიერ ერთობლივად განხორციელებული ინვესტიცია

საინვესტიციო პროექტების შეფასებისთვის არსებობს რამოდენიმე ხერხი:

1. დისკონტირებული ღირებულება (წმინდა);
2. შიდა ნორმა ინვესტიციების უკუგების;
3. რენტაბელობის ინდექსი (ანუ უკუგების სააღრიცხვო კოეფიციენტი);
4. ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდი.

ყველაზე მისაღები ის პროექტებია, რომელთა წმინდა დისკონტირებული ღირებულება მაღალია. სხვა შემთხვევაში ანუ მაშინ, როდესაც კოეფიციენტი ნულის ტოლია, ეს ინვესტიცია არ არის მომგებიანი და თუ უარყოფითია კლასიფიცირდება, როგორც ზარალიან ინვესტირებად.

ყურადსაღებია ინვესტიციის გამოსყიდვის პერიოდის კოეფიციენტის განსაზღვრა, ეს მეთოდი პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ მას ერთი დიდი ნაკლი აქვს ის არ ითვალისწინებს ფულის ღირებულების დროში ცვლას.

ის შემდეგნაირად გამოითვლება:

იგვ = საინვესტიციო ხარჯები / საშუალო წლიური მოგება

ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა 2016-2018 წლები:

| | 2016 წელი | 2017 წელი | 2018 წელი |
|--|-----------|-----------|-----------|
| საინვესტიციო ხარჯი | 4,574,230 | 4,786,062 | 4,796,024 |
| საშუალო წლიური მოგება | 3,638,186 | 9,570,097 | 5,144,695 |
| ინვესტიციის გამოსყიდვის ვადით = საინვესტიციო ხარჯები / საშუალო წლიური მოგება | 1.26 | 0.50 | 0.93 |

2016 – 2018 წელსში ჯერ 1,26 დან შემცირდა 0,5მდე ინვესტიციის გამოსყიდვის ვადა რაც დადებითად ფასდება, ვინაიდან რაც უფრო დაბალია აღნიშნული კოეფიციენტი მით უფრო დაბალია საინვესტიციო რისკი და კარგია ფინანსური სტაბილურობისათვის. 2018 წელს კი ისევ მატებას იწყებს და უკვე უარყოფითი შედეგის მომასწავებელია კომპანიისთვის.

შპს ლიდერფუდის ძირითადი საქმიანობაა ხორცპროდუქტების წარმოება და რეალიზაცია. ლიდერფუდის ადგილობრივი ბაზრიდან შეისყიდის ნედლეულს და აგილობრივ ბაზარზე ახდენს მის რეალიზაციას ქვეყანაში მოღვაწე დიდი ქსელური თუ მცირედა საშუალო მაღაზიათა ქსელების საშუალებით. კომპანიის ძირითადი შემოსავალი მისი ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარეობს.

შპს ლიდერფუდმა უახლოეს წარსულში დაიწყო თავისი მაღაზიათა ქსელის დაარსება და მიმდინარე და სამომავლო პერსპექტივაში იგეგმება მისი ძლიერი გაფართოება. ჩვენ ქვეყნის მთლიანი მასშტაბით ვუზრუნველყოფთ მომხმარებლების სურვილების მაქსიმალურად დაკმაყოფილებას და ვცდილობდ გავზარდოთ ლოიალურ მომხმარებელთა რაოდენობა, რაც ბიზნესის წარმატების გარანტია. მომავალი წლიდან კომპანია გეგმავს მოახდინოს არსებული მარაგების ოპტიმიზაცია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ახალ მომწოდებლებთან და გეგმაშია საქონლის პირდაპირ იმპორტით შექმნა, რაც დანახარჯებს შეამცირებს და გაზრდის კომპანიის კონკურენტ უნარიანობას ბაზარზე, ასევე საშუალებას მოგვცემს უფრო დაბალ ფასში მივაწოდოთ მომხმარებელს ჩვენს მიერ წარმოებული პროდუქტი. კომპანია უხლოეს მომავალში, ასევე გეგმავს პროდუქტის ასორტიმენტის ზრდას, უფრო მეტ მუშაობას მომხმარებლების მოთხოვნილებების სრულად დასაკმაყოფილებლად, რაც თავისმხირვ საშუალებას მოგვცემს ავითვისოთ ახალი ბაზრები.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განვიხილეთ შპს ლიდერფუდის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, მეთოდოლოგიური საკითხები და მათი გამოყენების შესაძლებლობები, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების გაუჯობებისა და ოპტიმიზაციის შესამუშავებლად. შევჯერდით, რომ ფირმის საქმიანობის აქტიურობაზე დიდი ზეგავლენას ახდენს საბრუნავი კაპიტალის ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვაობის მაჩვენებლები კერძოდ: ავანსირებულების კერძოდ და საერთო მაჩვენებლები, ფულის ბრუნვის მაჩვენებლები, რომელთა შეფასების საფუძველზე საშუალება გვეძლევა გავაკეთოთ საინტერესო დასკვნები.

ფინანსური ანალიზის მთავარი მიზანი სამეურნეო საქმიანობის შედეგების ფულადი ფორმაში გაზოგადებაა. ფინანსური ანალიზი ძირითადად იყენებს აზროვნების ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს. ამ მეთოდების გარეშე შეუძლებელია ფაქტორული ანალიზის ჩატარება და თითოეული ფაქტორის ზეგავლენის გაგება მიღებულ ეკონომიკურ შედეგზე. ნაშრომში დაჯგუფებულია საფინანსო ეკონომიკური მაჩვენებლები რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ კომპანია მომავალში საქმიანობას გააგრძელებს, რადგან საწარმო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მოგებაზეა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ბალანსისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი. ვერტიკალური ანალიზის საფუძველზე დავინახეთ საწარმოს აქტივები და მათი დაფინანსების წყაროები, კერძოდ 2016 წელს საკუთარი კაპიტალის მხოლოდ 1%-ია აქტივებში, 2017 წელს ის 40%-მდე იზრდება, 2018 წელს კი 51%-ს აღწევს. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოს აქტივების ძირითადი ნაწილი დაფინანსებულია ვალდებულებებით. დაფინანსების სტრუქტურის კოეფიციენტები იმავდროულად არის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები აქედან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საწარმოს ფინანსური სტაბილურობის დონე იზრდება. ჰორიზონტალური ანალიზის დახმარებით შევავსეთ

სტრუქტურული ანალიზი, რაც გულისხმობს საწარმოს საბალანსო მონაცემების შედარებას საბაზისო წელთან, გადახრების დაფიქსირებას და მათ ანალიზს. 2016 წელთან შედარებით აქტივების რაოდენობა იზრდება ორივე წელს. კაპიტალის ზრდის ტემპი წინ უსწრებს ვალდებულებების ზრდის ტემპს. 2018 წელს ვალდებულებების რაოდენობა 35%-დან 30%-მდე ჩამოდის 2016 წელთან შედარებით, ამავე დროს იზრდება აქტივები და კაპიტალი რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ კონპანიის აქტივების ზრდა დაფინანსებულია კაპიტალით და მისი სტაბილურობა იზრდება.

ასევე სიღმისეულად განვიხილეთ ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორებიცაა გადახდის ლიკვიდურობა ანუ გადახდის უნარიანობა. მათი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მათი ანალიზის მიზანია შესწავლილ იქნეს ამ კოეფიციენტების დინამიკური ცვლილების ტემპები, დახასიათდეს მათი მერყეობის ხარისხი მოცემულ საანალიზო პერიოდში და ამასთან დადგინდეს მათი ცვლილების მიზეზები პლუს შემუშავებული იქნას ლიკვიდურობის ანუ გადახდისუნარიანობის ამაღლების გზები. კომპანიაში 2018 წელს უკეთესი მდგომარეობაა, ლიკვიდურობაც მეტია, მაგრამ აბსოლუტურ ლიკვიდურობას ვერც ერთ წელს ვერ აღწევს.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა ზოგადად დიდ გავლენას ახდენს ბიზნესის სტაბილურობასა და განვითარებაზე. 2016-2018 წლებში კომპანიამ აჩვენა მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით, უფრო მეტად კი ახალი პროდუქციისა და ახალი რეგიონების ათვისებით. ასევე ამ დადებით შედეგზე მნიშვნელოვნად იმოქმედა იმ ფაქტმა, რომ 2017 წელს საწარმომ გადაინაცვლა ახლად აშენებულ ევროპული დონის საწარმოში, რომელიც ამიერკავკასიაში მასშტაბით ყველაზე დიდი საწარმო და ამ ეტაპზე ყველაზე მეტი ნედლეულის მასა შეუძლია გადაამუშავოს. არსებული ნიშნავს საწარმოს საქმიანობის მოცულობის ზრდას და მომავალში მის უკეთ გაფართოებას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომ დასაქმებულების რაოდენობა 520-იდან 660მდე გაიზარდა.

შპს ლიდერფუდი მუდმივად ცდილობს ფეხი აუწყოს კონკურენტულ ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს. მუდმივად ცდილობს ხარისხის შენარჩუნებას და ზრდას იმის გათვალისწინებით, რომ ფასები მომხმარებლისთვის მისაღები იყოს.

კომპანიის სამომავლო გეგმაში შედის როგორც წარმოების მასშტაბების ზრდა ისე თავის შვილობილი კომპანიის, რომელიც ლიდერფუდის მაღაზიათა ქსელის სახელწოდებით ოპერირებს ბაზარზე, განვითარებას და მათი რაოდენობის ზრდას, რაც დამატებით საშუალებას მოგვცემს გავასაღოთ მეტი პროდუქტი, ავითვისოთ ახალი ბაზარი და კმაყოფილება ავუმაღლოთ რაც შეიძლება მეტ არსებულ და ახალ მომხმარებლებს.

ფინანსური ანალიზისას ყურადსადებია ის ფაქტი, რომ საწარმო შესაძლებელია საანგარიშგებო პერიოდში მომგებიანი იყოს, მაგრამ პრობლემები ქონდეს საბრუნავ საშუალებებში, რამაც შესაძლოა კონფლიქტები წარმოშვას პარტნიორებს შორის და საბოლოოდ გაკოტრება გამოიწვიოს. ამიტომ მენეჯერმა არც ერთი წუთით ყურადღება არ უნდა მოადუნოს, რადგან სხვანაირი ქმედება პირდაპირ ბანკნოტისაკენ შემოუტრიალებს გეზს კომპანიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი, თბილისი 2018;
2. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;
3. ბასს 2 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, თბილისი 2018;
4. ბასს 7 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018;
5. ბასს 16 ძირითადი საშუალებები, თბილისი 2018;
6. ბუღალტრული აღრიცხვა სტუდენტის სახელმძღვანელო, გამომცემლობა თბილისი 2015;
7. ბარბაქაძე ხ., „ლიკვიდობისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დაბალანსების შესახებ“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2012 წელი, #2; გვ. 155-165;
8. გრეგორი მენქიუ ეკონომიკის პრონციპები თავი 16, გამომცემლობა დიოგენე 2008;
9. დოლიაშვილი თ., ლილუაშვილი გ. ბუღალტრული აღრიცხვა სტუდენტის სახელმძღვანელო გამომცემლობა თბილისი 2015;
10. თეთრუაშვილი მ., თეთრუაშვილი ი., ფინანსური მენეჯმენტი, გამომცემლობა გორი 2007, თავი 7 ფირმის ფინანსური მდგომარეობის და პერსპექტივების შეფასება. ფინანსური სტრატეგიის მატრიცები :
11. კვატაშიძე ნ., ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
12. კოვზაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა თავი 8:
13. კომპანია „ჯი არ სი“_ს ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერი
14. საქმიანობის შედეგების მართვა, ACCA. წიგნი 5, სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმნილი ინგლ., თბილისი, 2017;
15. სადაღაშვილი ლ., „საბრუნავი კაპიტალის, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტების გამოთვლის მნიშვნელობა აღრიცხვაში“, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009 წ;
16. ფასს 8 „საოპერაციო სემენტები“, 2018 წელი;
17. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, 2018 წელი;

17. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, ACCA. წიგნი 1.2. სახელმძღვანელო, საერთაშორისო პრაქტიკა, თარგმნილი ინგლ., თბილისი, 2003;
18. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, თბილისი 2009;
19. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ. ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010;
20. ჯიქია მ., ფინანსური ანალიზი, თბილისი 2018;
21. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;
22. ჭილაძე ი. მმართველობითი აღრიცხვა, თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2016;
23. ჭილაძე ი. დანახარჯების აღრიცხვის სისტემები გამომცემლობა „მერანი“ 2009;
24. <https://www.saras.gov.ge/>
25. <https://corporatefinanceinstitute.com/>
26. <https://investinganswers.com/>